პარლამენტმა მხოლოდ თბილისში უნდა იმუშაოს!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეფილებით და ჯოხებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 24 იანვარი. 2017 წ. №16 (8153), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!

გასდება თეთრი სახლი ტრამპის განსაწმენდელი? 3



მიშარასტიდან ნიკანორამდე – ვანუას გავლით!

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკანორ მელიამ ე.წ. მატროსოვის ციხეში გუშინ ვანუა მერაბიშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ის ენმ-ის გენერალური მდივნის თანამდებობას აღარ იკავებს

„ვანუა მერაბიშვილის პოზიციაა, რომ იგი არ დარჩეს „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის თანამდებობაზე“, – აღნიშნა მელიამ.

რაც შეეხება პარტიაში დარჩენის ან პარტიიდან გასვლის საკითხს, მისი თქმით, ამის შესახებ პოლიტიკურ განცხადებას თავად ვანუა მერაბიშვილი გააკეთებს.

„ის ამჟამად ელოდება სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის სხდომას, სადაც მისი საქმე განიხილება. ამის შემდეგ მერაბიშვილი თავად გააკეთებს პოლიტიკურ განცხადებას“, – თქვა ნიკა მელიამ, რომელმაც ენმ-ის გენერალური მდივნის თანამდებობა პარტიის ყრილობაზე, 20 იანვარს დაიკავა...

„გენსეკი“ ვანუამ ფეხებზე დაიკიდა...

ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

შურისმაძიებლების ტყვეობაში

„ბედნიერი ერის“ შვილები ამაოდ ველოდებით გამოდარებას! 6

რაც „მაგრები“ ვართ!..

ქართველების მიერ ევროპაში ნაძარცვი ნივთები ჩინეთშიც კი იყიდება! 7

აფხაზეთისა და ცხინვალის

რეგიონს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეთ! 2

საბჭოთა კავშირი, სახელად „ГАЗПРОМ“,

ანუ რუსული სახელმწიფოს „ქოფაკი ძაღლები“ 4

გარდაიცვალა ჯემშიდ გიუნაშვილი



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებრიობას, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, გამოჩენილი ირანისტი, საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში, სპარსული კულტურის, ენის, ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, ზნეკეთილი და დიდბუნებოვანი პიროვნება, წლების განმავლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საერთაშორისო მიმომხილველი და საკუთარი კორესპონდენტი

ჯემშიდ გიუნაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი 24, 25, I. 15 სთ. გამოსვენება 26, I, ხუთშაბათს, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-5 კვარტალი, მე-4 კორპუსი, მე-11 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 193.

იან კელი: აშშ-საქართველოს ურთიერთობები დარჩება მტკიცე და კიდევ უფრო გაძლიერდება

საქართველოში აშშ-ის ელჩის იან კელის განცხადებით, ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში აშშ-საქართველოს ურთიერთობები მტკიცე დარჩება. მისი თქმით, სახელმწიფო მდივანის ვინაობის გარკვევის შემდეგ, უფრო გაირკვევა თუ რა პოლიტიკა ექნება აშშ-ს.

„ჩვენ უნდა შევხედოთ, რა პოლიტიკა გვექნება, როცა უკვე ახალი სახელმწიფო მდივანი გვეყოლება, მაგრამ სრულიად დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობები დარჩება მტკიცე და ვფიქრობ, კიდევ უფრო გაძლიერდება“,— განაცხადა იან კელიმ. მისივე თქმით, ძლიერ ადვოკატირებას გაუწევს აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებს. კელის განცხადებით, ზოგადად ტრამპის ადმინისტრაციამ გამოთქვა მზადყოფნა სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით ქვეყნებთან ორმხრივი მოლაპარაკებები გამართოს.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეთ!

პარლამენტში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, კონსტიტუციაში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდეთ.

„ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა იმდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული სტატუსის გაგზავნა ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან არის სწორი, დროული და აუცილებელი. თუკი განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება ჩვენი მეგობრებისთვის მისაღები იქნება, რასაც, ალბათ, დრო დასჭირდება, მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს, თუ რას გულისხმობს ეს განსაკუთრებულობა.

დიდი ჩინეთიც კი იძულებული გახდა, მრავალი წლის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღგენისათვის წასულიყო იმ გზაზე, რომ ერთი სახელმწიფოს ქვეშ ორ სისტემას ეფუნქციონერა — ჰონგ-კონგის სისტემას და დანარჩენი ჩინეთის სახელმწიფოს მოწყობას. ჩვენც უნდა გადავდგათ თამამი ნაბიჯი და გავუგზავნოთ ეს გზავნილი აფხაზ და ოს ძმებს...

უსუფაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმების მომხრეა

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ტელეიმედთან ინტერვიუში განაცხადა რომ ის პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის მომხრეა, თუმცა ეს ცვლილება 2019 წლიდან უნდა ამოქმედდეს. მისივე თქმით, გასულ წელს ამ საკითხზე კოალიციის დეპუტატთა ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმებას დაჩქარებული წესით მოითხოვდა, ხოლო ნაწილი ამბობდა, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციაში უნდა ჩაწერილიყო შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის:

„შესაძლებელი გახდა კონსენსუსის მიღწევა სწორედ ამაზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღესაც. მე მომხრე ვიქნებოდი იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ჩაგვეწერა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის (წესის) თაობაზე, ოღონდ ეს ჩანაწერი ამოქმედებულიყო 2019 წლიდან. ანუ, მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ ავირჩევთ პირდაპირი წესით პრეზიდენტს და წავალთ წინ. მე მგონია, რომ ჩვენ და მეც პერსონალურად, რომელსაც ხმის თვალსაზრისით არანაირი გავლენა მაქვს პროცესზე, იმ ადამიანებსაც, ვისაც გავლენა აქვთ კომისიაში, პარლამენტში, მთავრობაში თუ სხვაგან, მგონია, რომ გვმართებს ნაბიჯების გადადგმა ერთმანეთისკენ. ამ ტიპის მოდელი, რაზეც მე ვსაუბრობ, შესაძლოა, აღმოჩნდეს შეთანხმების საგანი ბევრ პოლიტიკურ ძალას შორის, ბევრ ლიდერს შორის. ეს ამ თემაზე არასასურველ ვნებათაღელვებს გადაგვატანინებს და სხვა თემებზე ჩაღრმავებას შეგვაძლებინებს,“ — განუცხადა ტელეიმედს უსუფაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსი“ კონსტიტუციაში ნატოსა და ევროკავშირში მისწრაფებების შესახებ ჩანაწერის წინააღმდეგია

განცხადება პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ადა მარშანიამ გააკეთა. მისი თქმით, ჩანაწერის გაკეთება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე დაუშვებელია.

„არანაირი ჩანაწერი არავითარ პოლიტიკურ, სამხედრო თუ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე არ უნდა იყოს კონსტიტუციის პრეამბულაში. ეს არ ეხება მხოლოდ ნატოს. ეს ეხება ნებისმიერ ბლოკს. ასეთი ჩანაწერები ჩვენ გვბოჭავს, არ შეიძლება,“ — განაცხადა ადა მარშანიამ.

საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა

საკონსტიტუციო კომისიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფმა პირველი სხდომა გამართა.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს მიესალმა და სხდომაზე დამსწრე წევრების აქტივობისთვის კმაყოფილება გამოთქვა.

„მოხარული ვარ, მაღალი კვორუმით ვიწყებთ მუშაობას და პრაქტიკულად სრულად არის წარმოდგენილი ჯგუფის შემადგენლობა. რაც შეეხება სამუშაო პროცესის რეგლამენტს, მუშაობა სამ ეტაპად წარიმართება და დღევანდელ შეხვედრაზე საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი თავების და აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის სტატუსის კონსტიტუციური კანონის არსებულ ტექსტებს დეტალურად განვიხილოთ. გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად, მეორე სხდომისთვის შესაძლებელი იქნება პირველადი პროექტის შემუშავება, რომელიც ასევე მუხლობრივად იქნება განხილული და ბოლო, მესამე სხდომისთვის უკვე შეგვეძლება კონსტიტუციური თავების კიდევ ერთხელ გადამუშავებული რედაქტირებული ვარიანტის მომზადება და საბოლოო შეჯერება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფის წევრებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა სამუშაო ჯგუფთან გამართული შეხვედრის შედეგები გააცნო და აღნიშნა, რომ პირველ სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისას, როდესაც კონსტიტუციის შესავალი ნაწილი განიხილებოდა, კომისიის წევრები ტერიტორიული მოწყობის საკითხებს უკვე შეეხნენ, გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორიული მოწყობის დებულებები სწორედ კონსტიტუციის პირველ თავშია წარმოდგენილი.

დავით ნარმანია პოლონეთის ელჩს შეხვდა

თბილისის მერი დავით ნარმანია პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში მარიუშ მაშკევიჩს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

საუბარი მხარეებს შორის ურთიერთობებს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო. განიხილეს სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები.

„ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ გავააქტიუ-

როთ კიდევ უფრო ურთიერთობა თბილისსა და პოლონურ ქალაქებს შორის. გარდა ამისა, ვისაუბრეთ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესახებ. ასევე განვიხილეთ პროექტები, რომლებიც სამომავლოდ საინტერესო შეიძლება იყოს პოლონური კომპანიებისთვის“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მარიუშ მაშკევიჩი საქართველოში პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციას დეკემბრიდან იკავებს.

პარლამენტში მანანა კობახიძეს ანრი ოხანაშვილი ჩაანაცვლებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ წარადგინა.

იმ შემთხვევაში თუ მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გახდება, მის ადგილს პარლამენტში, პარლამენტის აპარატის უფროსი ანრი ოხანაშვილი დაიკავებს. ამ შემთხვევაში ანრი ოხანაშვილს პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობის დატოვება მოუწევს.

როგორც უმრავლესობის წევრმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, ფრაქციამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

აჭარით ლიტველი ვიზიტორები დაინტერესდნენ

ლიტველი ვიზიტორები საზღვაო დასვენების გარდა სამთო, ეკო და გასტრონომიული ტურებით ინტერესდებიან, აცხადებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელი მიხეილ კოპლატაძე, რომელიც ვილნიუსში მიმდინარე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა „Adventur 2017-ში იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ გამოფენაში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და მთის კურორტების განვითარების კომპანიასთან ერთად მონაწილეობს.

საქართველოს სტენდი გამოფენაზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო წარმოდგენილი და გამოფენის გახსნისას ის ქალაქ კლაიპედას მერმა და ეკონომიკის მინისტრმა მოინახულეს. აჭარის სტენდთან ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ მომზადებულ სარეკლამო-საინფორმაციო მასალებს გაცნობოდნენ და დეტალური ინფორმაცია მიეღოთ აჭარაში გავრცელებული ტურიზმის სახეობების, პროდუქტებისა და დასვენების შესაძლებლობების შესახებ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონს რეკლამირებას ლიტვის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე 2013 წლიდან უწევს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს „Adventur 2017“-ში მონაწილეობისა და თანამშრომლობისთვის მადლობის სიგელი გადაეცა. მიმდინარე წელს გამოფენაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 230 ტურისტული კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობდა. წლიდან წლამდე მზარდია ვიზიტორთა რაოდენობაც. წელს, გამოფენაზე წარმოდგენილი კომპანიების ტურისტულ პროდუქტებს 24 787 ადამიანი გაეცნო. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი წლის ბოლომდე რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების რეკლამირებას 20-მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე გეგმავს.

თეთრი სახლი – ტრამპის განსაწმენდელი

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!

დონალდ ტრამპი რომ ფრთიანი ანგელოზი არაა, ქვეყანამ იცის, ამერიკამ – მით უმეტეს, მაგრამ მაინც აუნთო მას მწვანე შუქი ნანატრი თეთრი სახლისკენ, ყველაზე გავლენიანი სახლისკენ, რომელიც ოდესმე ყოფილა დედამიწის ზურგზე. მისი არჩევა პლანეტის ამ ყველაზე გავლენიან თანამდებობაზე ნამდვილად მოულოდნელი იყო, მაგრამ ამერიკელები ნელ-ნელა ეჩვევიან ამ ახალ რეალობას. ახალი რეალობა კი არის ის, რომ შემაძრწუნებლად ახალი სტილი მკვიდრდება პოლიტიკაში – როგორც შიდა ამერიკულში, ისე საერთაშორისოში.

ამერიკის ახალ პრეზიდენტზე ბევრი ფიქრობს, რომ მისი ცხოვრება „ცოდვებითაა“ სავსე, თუმცა რომელი ვართ ამისგან დაზღვეული! მისი ეს „ცოდვები“ ზედმიწევნითაა აღნუსხული ლიბერალებისა და ამერიკის დემოკრატიული პარტიის მიმდევართა დავთრებში, თან ეს დავთრები ყოველდღე სქელდებაო, ამბობენ. ყველაზე სხარტად და მოხერხებულად, ალბათ, ამ ამბავს მაჰატმა განდის ცნობილი სიტყვები განამტკიცებდა – „ცოდვა უარჰყავ, მაგრამ ვინც სცოდავს, შეიწყალეო“. რაღა დარჩენიათ ამერიკელებს გარდა იმისა, რომ ეს სიბრძნე მიიღონ და დაიჯერონ, განსაკუთრებით მათ, ვინც ვერ აიტანა ბატონი ტრამპი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ასეთი მოულოდნელი და შთამბეჭდავი გამარჯვების გამო.

აღსანიშნავია, რომ ეს ახალი ფიგურა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე მხოლოდ „ცოდვების“ სკივრი კი არა, ფულის დიდი ტომარაცაა. ფული ყოველთვის იყო მისი მიზანი და იდეალი – გვამცნობს მის შესახებ არაერთი ჟურნალისტურ-პუბლიცისტური პასაჟი. ეს კი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისთვის უცხოა სიყვარულის შეგრძნება და ზრუნვა მათზე, ვისაც ეთაყვანება და პატივს სცემს. პირიქით – ოჯახი, ქალები, ბავშვები, მეგობრები, ნათესავები და ქველმოქმედება მისი ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელი ყოფილა თურმე ყოველთვის.

წარმოიდგინეთ, რამხელა შესაძლებლობა მისცა განგებამ და ხალხის ნებამ დონალდ ტრამპს, რომ ისეთ მაღალ სტატუსში, როგორიცაა ამერიკის პრეზიდენტობა, გამოისყიდოს მისი ნამდვილი, ნავარაუდევი თუ წარმოდგენითი ცოდვები ელეგანტურად და ღირსეულად, თან ეს გააკეთოს არა აღსარებითა და ლოცვებით, არამედ იმ დიდი საქმეებით, რომელიც მას ელოდება ამ ახალ რანგში, და ასე და ამგვარად განიწმინდოს „ცოდვილი“ თავი წინათ ჩადენილ „ავ საქმეთაგან“, რომელიც მის ბიოგრაფიაში ოდესმე ყოფილა აღბეჭდილი. ჰოდა, თეთრი სახლი სწორედ რომ ასეთ განსაწმენდელად მოევლინება მას მალე, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მოახერხებს, თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე წარსდგეს როგორც ერთი ბრძენი და კეთილი კაცი, ანუ როგორც მისი შეწუხებულ-შეშფოთებული ერის ძლიერი და გონიერი ლიდერი, იმ ერისა, რომელსაც აგერ ახლა შეჰპირდა, რომ ძველ სიდიადეს დაუბრუნებდა მისი პოლიტიკურად გამოუცდელი, მაგრამ ძლიერი ხელით. სწორედ ამერიკის ხელახალი სიდიადე იქცა ტრამპის საარჩევნო კამპანიის მთავარ შეძახილად, ასე მაგრად რომ მოხვდა ამერიკელ ამომრჩეველს გულზე.

დონალდ ტრამპს მართლაც მიეცა ისტორიული შანსი, რომ სიტყვის კაცად მიიჩნიოს მისგან სიახლისა და სიკეთის მომლოდინე ერმა, და თანამემამულეთ დაუბრუნოს ის სამშობლო, რომელიც ერთ დროს ჰქონდათ მათ – არცთუ ძალიან შორეულ წარსულში. ეს იყო ბედნიერი, აყვავებული, უსაფრთხო ამერიკა, რომელიც ცნობილი Mayflower-ის ხანის იდეალებს ეხმიანება. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ის იდეალებია, რომლებიც დღესაც ძველებურად ესადაგება წმინდა დემოკრატიულ ფასეულობებს, და დღევანდელ ამერიკას რომ უნდა დაუბრუნდეს დაუყოვნებლივ. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ეს მძლავრი მესიჯი იყო ტრამპის საარჩევნო კამპანიის გულისგულში, ასე რომ მოხიბლა ამერიკელები.

ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა უკვე დადო საზეიმო ფიცი. მისი ინაუგურაცია დიდ ზეიმად იქცა, რომელსაც სიმწარეც კარგა გვარიანად ახლდა, თუმცა დონალდ ტრამპს რომც სცოდნოდა ძართული სიბრძნე - რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია - მას მაინც არად ჩააგდებდა ხასიათიდან და ახალი მდგომარეობიდან გამომდინარე. მან კარგად იცის, რა ვნებათაღელვასაც იწვევს მისი გაპრეზიდენტება შტატებში, და არა მხოლოდ. მთელი მსოფლიო დაძაბულია მისი შესაძლო სოციალური და პოლიტ-ეკონომიკური ნაბიჯების მოლოდინში. ერთი სიტყვით, გინდა, არ გინდა, გჯერა, არ გჯერა, მოგწონს, არ მოგწონს – ეს ყველაფერი უკვე უადგილოა და დაგვიანებული. ტრამპი ამერიკის პრეზიდენტია სულ მცირე ოთხი წლით და თუ მან რაღაც სასწაულად გაუმართლებელი და ამერიკის პრეზიდენტისთვის შეუფერებელი საქციელი არ ჩაიდინა ამ ხნის განმავლობაში. ალბათ, სისტემა მას ასე ადვილად არ დააშვებინებს შეცდომებს. არის ერთი რამ, რაც ძალიან მომწონს ამერიკის მართვის სისტემაში: ყველაფერს, რასაც აკეთებენ – ავსაც და კარგსაც – თავის სასარგებლოდ ატრიალებენ; ყველაფერს იყენებენ სისტემის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. ამერიკის საზიანოდ არასოდეს არ იძცევიან.

მართვის ამერიკულ სისტემას სტაბილურობა ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს იმდენად მოქნილია, რომ ადვილად ეგუება ხოლმე გაუთვალისწინებელ ცვლილებებს და სიძნელეებს, და როცა წარმოიშობა ხოლმე ეს სიძნელეები, როგორც წესი, ჩნდება ახლებური გადაწყვეტილებები. მათი პოლიტიკური სისტემა იძლევა ამ პრობლემების გონივრულად გამკლავების საშუალებას, როცა ამის საჭიროება დგება. ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა, რომელსაც ნებისმიერ სახელმძღვანელოში ამოიკითხავს კაცი. წარსულს თუ გადავხედავთ ოდნავ შემფასებელი თვალით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გავლილი აქვს უფრო რთული პოლიტიკური ლაბირინთები, ვიდრე ამ უკანასკნელი არჩევნების შედეგებია. არაფერი უცნაური არ მოხდება ამერიკაში. ამერიკა ყოველთვის დარჩება ძლიერ ქვეყნად და ამერიკელები თავისუფალ ხალხად - არის ასეთი ურყევი შინაგანი რწმენა ამ ერში. ტრამპის გაპრეზიდენტება ამ რწმენის პირდაპირი მახასიათებელია.

ვთქვი და გავიმეორებ, რომ თეთრი სახლი, შეიძლება, გახდეს ნამდვილი გამნსაწმენდელი დონალდ ტრამპისთვის, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ დააკნინებს ამერიკის პრეზიდენტობას, ერთი წამითაც კი, მისი ბედნიერი ამომრჩევლის გასახარად და უამრავ მაგინებელთა იმედგასაცრუებლად. მართლაც რომ დიდი გამოცდა ელის ამ კაშკაშა განსაწმენდელის ახალ „ცოდვილ“ პრეზიდენტს.

ნუგზარ ბ. რუხაძე

45-ე პრეზიდენტის მოულოდნელი „პორტრეტი“

20 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიაში რიგით 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ საინაუგურაციო სიტყვას მსოფლიო მასმედიის მოწინავე გამოცემები ეხმაურებიან.

კერძოდ, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავის მიმოხილვაში წერს, რომ წვიმიან ამინდში დონალდ ტრამპმა ქვეყანაში არსებული საშინელი ვითარება დახატა, რომლის მოსახლეობა მმართველი ელიტისგან მივიწყებულია, თავად კი მსოფლიოში გავლენას კარგავს, მაგრამ ამას საბოლოოდ წერტილი დაესმევა.

„გარდიანი“ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ტრამპს არც ერთი „უკვდავი სიტყვა“ არ უთქვამს, რომელიც ისტორიას შემორჩებოდა, როგორც ეს იყო აბრაამ ლინკოლნის, თეოდორ რუზველტის, ჯონ კენედის, რონალდ რეიგანის შემთხვევაში. გაზეთი საინაუგურაციო გამოსვლას „მწარეს, ტრაბახასა და ბანალურს“ უწოდებს, რომელიც მხოლოდ მისი მხარდამჭერი და არა მოწინააღმდეგე ამომრჩევლებისადმი იყო მიმართული.

გამოცემა „ფედერალისტი“ ხაზს უსვამს იმას, რომ დონალდ ტრამპმა ომი გამოუცხადა ისტებლიშმენტს და მას არ სურს დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება.

თავის მხრივ „სიბიეს ნიუსი“ აღნიშნავს, რომ საინაუგურაციო სიტყვის წარმოთქმისას, ახლადარჩეული პრეზიდენტი იყო „კლასიკური დონალდ ტრამპი“, რომლის მიუღებელი რიტორიკა მთელ საარჩევნო კომპანიას გასდევდა, ხოლო ლოზუნგი „ამერიკა – უწინარეს ყოვლისა!“ და მმართველი ელიტის კრიტიკა – მისი უცვლელი მდგენელები.

ბრიტანულმა „ბიბისიმ“ კი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობა ამთავითვე „ისტორიულად“ მონათლა, რისი არგუმენტაციაც მოიყვანა:



1. დონალდ ტრამპი ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტია;
2. ამერიკის არსებობის ისტორიაში იგი პირველი მილიარდერი პრეზიდენტია;
3. მისი კაბინეტი მსოფლიო ქვეყნების მთავრობებს შორის უმდიდრესია;
4. მას ყველა ყოფილ პრეზიდენტთან შედარებით ყველაზე ნაკლები პოლიტიკური გამოცდილება აქვს;
5. დონალდ ტრამპს სხვა ყოფილ პრეზიდენტებთან შედარებით ყველაზე გავლენიანი შვილები ჰყავს;
6. ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, დონალდ ტრამპი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი იქნება, რომელსაც ცხოველი არ ეყოლება;
7. იგი ასევე პირველი იქნება, ვინც თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგია;
8. დონალდ ტრამპის მეუღლე მელანია თეთრი სახლის პირველი სლოვენიელი დიასახლისია. იგი ასევე პირველი „პირველი ლედი“ იქნება, რომელიც პრეზიდენტის მეორე მეუღლეა.

ნინო ალექსანდრია

საბჭოთა კავშირი, სახელად „ГАЗПРОМ“,

ანუ რუსული სახელმწიფოს „ქოფაკი ძაღლები“

რუსულ „ენერგომონსტრთან“ გაფორმებული, ნამდვილად კაპიტულანტური ხელშეკრულება ქართული პოლიტიკის „ფეთქებადი ნაღმი“ ხდება. ისევე, როგორც 2003 წელს, როდესაც ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე (სააკაშვილი ნაკლებად, თუ ყურადღებით გაიხსენებთ) მძვინვარედ აპროტესტებდნენ ამერიკული „AES-თელასის“ მიერ, თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის, — რუსული „РАО ЕЭС Россия“-სათვის მიყიდვას ციმბირული ნავთობსაბადოს სანაცვლოდ; და 2008 წელს, როცა „ხუთდღიანი ომიდან“ სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, იმავე ანატოლი ჩუბაისის („ლიბერალური იმპერიის“ იდეოლოგის) РАО-სთან გააფორმა გამაოგნებელი მემორანდუმი - „ენგურჰესის“ მართვაში გადაცემის თაობაზე.

ოთხშაბათს საღამოს, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ გამართულ კრეატიულ პერფორმანსში ის ადამიანებიც მონაწილეობდნენ, ვინც ყოველთვის ყველაფერს აპროტესტებდა, მაგრამ იქ ისინიც იყვნენ, ვისაც 2008 წელს „რატომღაც არ გასჩენია“ მოთხოვნა მაშინდელ ხელისუფლებასთან, „ენგურჰესის“ თაობაზე პარაფირებული მემორანდუმი გამოექვეყნებინა, დღეს კი გააფთრებით ითხოვს „газпром“-თან დადებული ხელშეკრულების გასაჯაროებას იმ სამართლიანი არგუმენტით, რომ ამგვარი შეთანხმება საიდუმლო არ უნდა იყოს.

რაც შეეხება РАО „ЕЭС“ - სს, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ავტორებს (მას შემდეგ რაც ძალაუფლება გაინაღდეს), ის სკანდალური გარიგება საერთოდ აღარ გახსენებიათ, ხოლო თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელს დღემდე ჩუბაისის РАО-ს მემკვიდრე Интер-РАО ფლობს.

თუმცა, ორივე ხომ რუსული სახელმწიფოს „ქოფაკი ძაღლია“?!

* * *

„газпром“-ზე ასე დამამცირებლად ვერ ვიტყვით, რადგან ეს კონცერნი ბევრად მეტი და ბევრად უარესია!

გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, „გაზპრომი“ თვით რუსული იმპერიაა — მისი არა „შეკვეცილი“, არამედ სუბლიმირებული ფორმით: საბჭოთა კავშირი 1991 წლის დეკემბერში დაიშალა. მას შემდეგ ნევასა და მოსკვა-რეკაში უამრავმა წყალმა ჩაიარა, თუმცა ის გრანდიოზული სახელმწიფო, მისი აგრესიული სულისკვეთება და გეოპოლიტიკური მისწრაფებები კვლავ ფეთქავს და ქშენს ამ კოლოსალურ კონცერნში.

მერე რა, რომ დღეს სააქციო საზოგადოებაა და, როგორც ამბობენ, მისი აქციები „ყველამ შეიძლება შეიძინოს“: 50%+ „ოქროს აქცია“ ხომ მაინც კრემლს ეკუთვნის?! მთავარი კი, რაშიც ძველებური არსი მჟღავნდება, სწორედ იმპერიალიზმია!

ეს არ არის კომერციული ორგანიზაცია, როგორც ამერიკული „ეფლ“ ან იაპონური „ტოიოტა“ - მასში „შეიკუმშა“ ყველაფერი, რაც თითქოს დაინგრა და გაცამტვერდა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ: სახელმწიფო მონოპოლიაც და „ვარშავის“ სამხედრო ბლოკიც, რომლის მეშვეობით კრემლი აღმოსავლეთ ევროპას აკონტროლებდა - ბერლინის ჩათვლით.

ამდენად, ხელშეკრულება „газпром“-თან იგივეა, რაც გარიგება კრემლთან. უფრო კონკრეტულად კი, დღევანდელ პრეზიდენტ-იმპერატორ ვლადიმერ პუტინთან.

* * *

„რას მოაწერა ხელი“ კახი კალაძემ, მეტ-ნაკლებად ცნობილია იმის მიუხედავადაც კი, რომ დოკუმენტი არ გამოქვეყნებულა. ბოლოს და ბოლოს, არსებობს უამრავი წყარო, ქართულიც და განსაკუთრებით რუსული: დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ 2018 (და არა 2017) წლიდან, რუსული „ენერგომონსტრი“, სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტისთვის, ქართულ მხარეს გადაუხდის კონკრეტულ თანხას. თანხის ოდენობა დაახლოებით იმდენი იქნება, რაც ევროპის ტერიტორიაზე. ოღონდ ეს ოდენობა ნამდვილად არ ეყოფა (ამას თვით კალაძეც ვერ უარყოფს) იმავე ოდენობის აირის შესყიდვას, რასაც ქვეყანა ძველი სქემით იღებდა, როდესაც გატარებული გაზის 10% გვრჩებოდა.

ამგვარი პრაქტიკა 1992 წლიდან მოქმედებდა. იმ წლის დასაწყისში, როცა საქართველოს ე.წ. „სამხედრო საბჭო“ მართავდა ორი „კანონიერი ქურდის“, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის წინამძღოლობით, საქართველომ სომხეთს გაზსადენი გადაუკეტა პრეზიდენტ გამსახურდიას გროზნოში გაშვების გამო. ხოლო შემდგომი მოლაპარაკებისას იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ თბილისში სასწრაფოდ ჩამოფრენილ სომეხ კოლეგას უმკაცრესი ულტიმატუმი წაუყენა: „ან მთელი გაზის 10%, ან ვერაფერს ვერ მიიღებთ!“ სომხები დათანხმდნენ და რუსებიც დაითანხმეს. სხვა გზა (მაშინ), უბრალოდ არ ჰქონდათ.

* * *

ამ სქემამ 25 წელი იმუშავა. მაგრამ რუსეთს იგი ძალიან არ აწყობდა, რადგან ქმნიდა პრეცედენტს, რათა სხვა სატრანზიტო ქვეყნებსაც მოეთხოვათ ნატურით ანაზღაურება. ამიტომ, ბოლო 15 წელია, მოსკოვი კი გვიფორმებდა ყოველწლიურად ხელშეკრულებას „10%“ თაობაზე, თუმცა მუდმივად მოითხოვდა „მონეტიზებას“ ისევე, როგორც საქართველოს ბაზარზე „газпром“-ის დაბრუნებას. ეს ორი საკითხი ძალიან ოსტატურად „გადააბეს“ ერთმანეთს.

სწორედ აქ ისმის მთავარი კითხვა: რატომ და როგორ დაითანხმეს (აიძულეს) ამჯერად საქართველოს ხელისუფლება?

უამრავი ვერსია გამოითქვა. მათგან ყველაზე „დამაჯერებლად“ ისაა მიჩნეული, რომ, თურმე, მოსკოვი ირანიდან მიაწვდიდა სომხეთს ბუნებრივ აირს და საქართველო საერთოდ „მილმშრალი“ დარჩებოდა.

ეს ვერსია ყველაზე დამაჯერებელი კი ჩანს, თუმცა სინამდვილეში ყველაზე მტკნარი სისულელეა: რუსეთი და ირანი, ამ სფეროში, შეურიგებელი კონკურენტები არიან. მოსკოვს არაფრის დიდებით არ აწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ირანული გაზის „შემოშვება“, რადგან აქიდან იგი შემდეგ უფრო „შორსაც“ შეიძლება წავიდეს და სხვა (თურქეთისა და ევროპის) ბაზრებზეც გაუწიოს კონკურენცია.

ამიტომ, ირან-სომხეთის დამაკავშირებელი მილსადენი საკმარისად გამტარუნარიანიც რომ ყოფილიყო (თუმცა 100%-ით მაინც ვერ შეძლებდა სომხეთისათვის აუცილებელი გაზის გატარებას) მოსკოვი ამ ვარიანტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განიხილავდა, ან საერთოდაც არ განიხილავდა.

* * *

როგორც ჩანს, სინამდვილეში, „газпром“-ის ტოპ-მენეჯერებმა კახი კალაძე სხვა „არგუმენტებით“ დაითანხმეს: „მონსტრი“ საქართველოს მთავრობას დაემუქრა, რომ თებერვალში, როდესაც ენგურჰესი დროებით უნდა გაჩერდეს წყლის სიმწირის გამო, „ენერგომონსტრის“ უმცროსი და — „Интер-РАО“ - შეუწყვეტდა ქვეყანას ელექტროენერგიის მოწოდებას რაიმე „ავარიის“ მომიზეზებით (ჯერ არ უქნიათ?), პარალელურად, „როსპოტრებნადზორი“ კვლავ აღმოაჩენდა მავნე ბაცილებს ქართულ ვაშლსა და „ნაბეღლავში“, „როსავიაცია“ ისევ დაადაღებდა პირდაპირ ავიარეისებს ძველი დავალიანების საბაბით და ა.შ.

კვირიკაშვილის მთავრობას უბრალოდ შეეშინდა, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ლარი ისედაც სულს ღაფავს („საბჭოთა კავშირმა“ იცოდა და იცის მომენტის შერჩევა „წიხლის დასაჭერად“), ხოლო მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდება, ემბარგოს აღდგენას, შესაძლოა, იმ „წკიპურტის“ როლი შეესრულებინა, რომელიც მთლიანად ჩამოაძცევს ნაგებობას.

„მიშა როგორ ახერხებდა „газпром“-ის ყოველწლიურ. ანალოგიურ ულტიმატუმთა უარყოფასო“.

პრეზიდენტი სააკაშვილი ამას ნამდვილად ახერხებდა, რადგან მაშინ მოსკოვს რამდენიმე „მძიმე“ არგუმენტი ჯერ არ გააჩნდა: რუსული ბაზარი ისედაც დახურული იყო ქართული პროდუქციისთვის და რუსი ტურისტები ისედაც ვერ მოფრინავდნენ.

აქედანაც ჩანს, რა იქედნური გადაწყვეტილება მიიღო „მონსტრმა“, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა რუსული ბაზრის „ნარკოტიკზე“ შესვა — ქართული პროდუქცია „შემოიჩვია“, შესაბამისი ლობისტური ჯგუფებიც შექმნა „ბიზნეს-ელიტებში“ და ახლა მთავრობას უკვე უჭირს ამ „ნარკოდამოკიდებულების“ მოხსნა.

საბჭოთა კავშირს მაშინაც ეხერხებოდა ამგვარი გეოპოლიტიკური შანტაჟი, როცა რუსეთში „ბიზნესი“ საერთოდ ცალკე სიტყვა იყო. დღეს „газпром“-ის გენერალური მენეჯერი ალექსეი მილერი მსოფლიო ელიტის წევრი, რესპექტაბელური ბიზნესმენია, — ამ დღეებში დავოსის ფორუმზე იმყოფებოდა... თუმცა, „მონსტრის“ ბუნება ამით არ იცვლება: იგი კვლავინდებურად რჩება რუსული იმპერიალიზმის უმოწყალო „ჯავშნოსნად“.

გიორგი ლეჟავა

3 კვირის შემდეგ აფხაზეთს დენი აღარ მიეწოდება

აფხაზეთს 15 თებერვლიდან, სავარაუდოდ, ენგურჰესიდან ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. დე ფაქტო რესპუბლიკა, შეიძლება, მთლიანად ჩაბნელდეს, რადგან მას დენის მომარაგების ალტერნატიული წყარო არ გააჩნია. ერთადერთი შესაძლებლობა რუსეთიდან ელექტროენერგიის მიღებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში სეპარატისტებს მისი შეძენა მოუწევთ მაშინ, როცა ენგურჰესიდან უფასოდ მარაგდებიან.

ე.წ. რესპუბლიკაში რომ ურთულესი ვითარებაა ამას აფხაზურ მედიასთან არც „ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი ოკუპირებული აფხაზეთის მხრიდან გია ხუბუა მალავს:

„რეალობა შემდეგია: თუ ასეთი ტემპით გავაგრძელებთ წყლის გამოყენებას, თებერვლის შუა რიცხვებიდან წყალი აღარ იქნება და ელექტროენერგიის შესყიდვა რუსეთიდან მოგვიწევს“, - აცხადებს ხუბუა.

მისი თქმით, ჯვარის წყალსაცავში წყლის დონე 453 მეტრია, არსებობს კიდევ 35 მეტრის გამომუშავების შესაძლებლობა, რის შემდეგაც აფხაზეთში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდება.

მან ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება მაღალია და დღეში 8 მლნ კვტ/სთ გამოიყენება.

„ჩერნომორენერგოს“ მთავარი ინჟინერი თემურ კაციაც ამბობს, რომ ჯვარის წყალსაცავში წყლის დონის კლების გამო, თებერვლის შუა რიცხვებიდან „ენგურჰესიდან“ აფხაზეთის ენერგომომარაგება შეუძლებელი იქნება.

ენგურჰესის წლიური გამომუშავება 3 მილიარდ კილოვატ საათს აღემატება, აქედან გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% უფასოდ მიაქვს აფხაზეთს, 60% - საქართველოს ენერგოსისტემაში რჩება. ენგურჰესისის წილი საქართველოს მთელ ენერგობალანსში 40 პროცენტია.

შპს „ენგურჰესის“ დირექტორი ლევან მებონიაც ადასტურებს, რომ აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა უახლოეს პერიოდში გამწვავდება.

შეგახსენებთ, რომ ენგურჰესის დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ-ია. ჰიდროელექტროსადგურის სამანქანო დარბაზი (ტურბინა-გენერატორი) ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარეობს, ხოლო კაშხალი, რომელიც ქმნის წყალსაცავს - საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა.

ენერგეტიკოსი ანზორ ჭითანავა აცხადებს, რომ აფხაზები მდგომარეობის შეცვლას არც მოინდომებენ, რადგან ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო არ გააჩნიათ და ვერც შექმნიან.

აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება 2016 წელს, 2007 წელთან შედარებით, დაახლოებით 55%-ით არის გაზრდილი.

დანიელ ბექაური

წერილი რედაქციას

მე თქვენი პოლიტიკა არ მაინტერესებს, მე ჩემი სამოქალაქო უფლებების აღდგენას მოვითხოვ!

საქართველოს ხელისუფლებასთან წარმოქმნილი ჩემი პრობლემებით იმდენ ნეგატიურ ინფორმაციას ვისმენ და ვკითხულობ, საჭიროდ ჩავთვალე განცხადების სახით კიდევ ერთხელ (და ვინ მოთვლის მერამდენედ) მივმართო ნანატრ, თუმცა ჩემთვის ყაჩაღად მოვლენილ ხელისუფლებას.

სათქმელი მაქვს ბატონ პრემიერ-მინისტრთან.

თავის დროზე შევიძინე 1992 წლის (ამ ხელისუფლების) „სახელმწიფო სესხის“ ობლიგაციები, რომელიც არ გათამაშებულა, ისე უნდა განაღდებულიყო ამ ობლიგაციების მფლობელებზე თავისი ნომინალური ღირებულებით. 2003 წელს სააკაშვილმა ნაწილობრივ გაანაღდა ეს ვალდებულება, სადაც პირობად ჩადებული იყო, რომ პირველ რიგში განაღდება მოხდებოდა I ჯგუფის ინვალიდებზე, პენსიონერებზე, უმწეოთა კატეგორიაზე... მაგრამ სააკაშვილი რის სააკაშვილია, თუ ამ პირობას შეასრულებდა. მან თანხები გასცა საკუთარ ფავორიტებზე, მაგალითად, მაია ნადირაძეზე, ბესო ჯუღელზე და ხულიგან გივია თარგამაძეზე, რის თაობაზეც დოკუმენტი მეც მომეპოვება გაზეთ „ალიას“ მიერ მოპოვებული.

მოვიდა ნანატრი მთავრობა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით. ეს იყო დიდი მოვლენა იმ პერიოდში არსებული დანაშაულებრივი გარემოს პირობებში, მაგრამ ისე მოხდა, რომ მგელი მოვიცილეთ, მაგრამ დღეს მგლის მაგვარი გვჭამს. ეს შეღავათი ნამდვილად არ არის!

პრობლემებით გამწარებული 85 წლის მოხუცი იმ დასკვნამდე მივედი, რომ მოთხოვნიდან პირდაპირ ბრძოლაზე გადავიდე.

ჯერ იმაზე, თუ რა ინფორმაციას ვფლობ ჩემი საკუთრების დაცვის საკითხში:

1. არნო ხიდირბეგიშვილი — კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა რომის სამართლის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

2. სახალხო დამცველის ანგარიში — ადამიანის უფლებათა დაცვა საერთოდ არ ხორციელდება საქართველოში.

3. „მაესტროს“ „ცეცხლის ხაზი“ 17.12.16წ. — სწორედ მიმდინარეობს თუ არა საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი? დიახ — 25%, არა — 75%

4. ორგანული კანონი ეროვნული ბანკის მიმართ, მუხლი 69 და 5. — 2004 წლის 108 ბრძანებულება, რომლითაც იბლოკება ადამიანის კონსტიტუციური უფლება საკუთრებაზე.

ამგვარი ინფორმაციები უამრავი შემიძლია მოგაწოდოთ.

ამ კუთხით ჩემს მიმართ განხორციელებული ქმედებები კვალიფიცირდება სსსკ 332, 333 მუხლებით — თანამდებობის ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების გადამეტება დამამძიმებელ გარემოებაში, როცა დანაშაულს ახორციელებს პირთა ჯგუფი, რომელიც კონსტიტუციით ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა თავისუფლება და უფლება საკუთრებაზე — კონსტიტუციის მუხლები №№ 7, 14, 21, 42_9.

გარდა ამ სახელისუფლებო დანაშაულისა, რაც განხორციელებულია ჩემი საკუთრების მიტაცებით, მე, ქართლოს ზაქარეიშვილი გიყენებთ კიდევ ორ რეალურ ბრალდებას, თქვენი უმოქმედობის გამო.

1. მე სისტემატურად გწერთ განცხადებებს, რომ დამათაღლითა და ჩემი ქონება მიიტაცა უმაღლესი რანგის იურისტმა ზაზა რუხაძემ (საქმის შინაარსი ჩემი წინა განცხადებიდან ყველასათვის ცნობილია). კიდევ ერთხელ გიდასტურებთ: ხელთა მაქვს და შემიძლია, წარმოგიდგინოთ ყველა საჭირო საბუთი: რუხაძის მიერ ორჯერ გაყალბებული ნოტარიული დოკუმენტი, რუხაძის მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტი, ყველაფერი ეს სასტიკი ძალადობის ფონზე, იმ დონემდე, რომ მეორე სართულის სახურავიდან მაგდებდა, ეზოში მდგარ მეზობელს რომ არ ამოესწრო.

2. მთლად სამარცხვინო ამბავია ჩემს თავს: დამათაღლითა დამლაგებელმა ნანა ზამბახიძემ, რომელიც გამოვიყვანე კათარზისიდან. 2015 წლის ნოემბერში ჩემი მდგომარეობის გაუარესების გამო მივმართე კათარზისს, მინდოდა, კონსულტაცია მიმეღო თუ სად მდებარეობდა მოხუცთა თავშესაფარი და იქ მოწყობის კრიტერიუმები. საუბარი მქონდა კათარზისის სახლის დედასთან, ქალბატონ მანანა ქოიავასთან, რომელმაც თავშესაფარი ვერ მიმითითა, მაგრამ მირჩია, მათთან მიმეღო კვება სადილის ფორმატში. მე ეს არ მყოფნიდა, მჭირდებოდა მოვლა, მაშინ მან შემომთავაზა მომვლელად მის გვერდით მჯდომი ქალბატონი ნანა ზამბახიძე. ამ ქალბატონმა ჩემთან მუშაობა დაიწყო 6 ნოემბერს. 29 ნოემბერს კი გამომიცხადა, ძალიან მჭირდება ფული და ხუთი თვის წინსწრებით უნდა გადამიხადოო. მე უარი ვუთხარი უსახსრობის გამო. ბოლოს და ბოლოს თითქმის ძალით დამითანხმა, რომ მომეხსნა წინსწრებით 3 თვის პენსია (ჩემთვის სიცოცხლის ფასად ერთ თვესაც არ მოვხსნიდი არავითარ შემთხვევაში), ე.ი. ქალბატონმა დამლაგებელმა წინასწარ წაიღო სამი თვის გასამრჯელო, ამის შემდეგ იმუშავა ერთი თვე და გამექცა რაღაც უზნეო ბრალდებით, თან მოაყოლა ქალბატონ მანანა ქოიავასთან ტელეფონით საუბრისას, არც მოგემსახურები და არც ფულს დაგიბრუნებო. დასაბრუნებელი თანხა კი შეადგენს 300 ლარს. ეს საქმე სხვა ახსნა-განმარტებებსაც ითხოვს, რაც უნდა განახორციელოს კანონდამცველებმა.

ბატონო პრემიერო, აი ის სამი საქმე, რომელთაგანაც პირველში პირდაპირ თქვენ ბრძანდებით მოპასუხე, ხოლო 2 საქმეში ბრალს გდებთ იმაში, რომ თქვენმა სამართალმა დაიცვა დანაშაული და დაზარალებული დაცინვის ობიექტი გახადა.

მინდა, გესაუბროთ კიდევ ერთ საკითხზე.

მინისტრ კახი კალაძის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც მიიღო მთელმა ხელისუფლებამ, საზოგადოებაში განიხილება როგორც ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულება ან მოლაპარაკება.

ეს მოქმდება მიმართულია შეერთებული შტატების ინტერესების საწინააღმდეგოდ, გაიხსენეთ უახლეს წარსულში მსგავსი კრიზისი რუსეთთან, როცა შტატები გამოვიდნენ საქართველოს დამცველად და თვითონ აიღეს საკუთარ თავზე რუსეთთან საკითხის მოგვარების საქმე.

დაბოლოს, აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქვეყანა სამოქალაქო და სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხში დიდი პრობლემების წინაშე დგას, მძვინვარებს სოციალური მიმართულებით მოღვაწე შპს-ების განუკითხაობა.

ისე, კაცმა რომ თქვას, რითი ვარ მე, ქართლოს ზაქარეიშვილი ბატონ ბიძინა ივანიშვილზე ნაკლები ქველმოქმედი, როცა ბატონ ბიძინას სააკაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილებით წაართვა 80 მლნ. ლარი, ცოტათი ადრე კი დაუყაჩაღა საინკასაციო მანქანა, საიდანაც გაიტაცა 2 მლნ. დოლარი და ერთი მლნ. ევრო. ამ გაჭირვების პერიოდში, ჩემი პენსიიდან 150 ლარიდან მოვხსენი 20 ლარი, ე.ი. ერთი მეშვიდედი და შევიტანე „ქართუ ბანკის“ კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე ფილიალში, ბატონი ბიძინას სახელზე. ერთი მითხარით, ბატონი ბიძინა თავისი შემოსავლის ერთ მეშვიდედს გასცემს ქველმოქმედებით? არა! ე.ი. მე უფრო მასშტაბური ქველმოქმედი ვყოფილვარ.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, სადაც ნახევარი მართალი არ იქნება.

მე ისევ იქ ვარ. მომეცით, ბატონებო, სულ ერთია ვინ იქნებით ბიძინა თუ გიორგი, ჩემი ხელისუფლებაზე სესხად მიცემული თანხა და მომიგვარეთ თაღლითებთან პრობლემები, ან მიმიღეთ და მითხარით, რას მერჩით, რა დაგიშავეთ ამ მოხუცმა, ავადმყოფმა კაცმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე გამოვიყენებ ყველა ძალას და ყველა ინსტიტუციას, ქართული იქნება თუ საერთაშორისო, რითაც ნათელს მოვფენ საქართველოში არსებულ დანაშაულებრივ სისტემას.

ბოლოს და ბოლოს, გაიგეთ „ძლიერნო“ ამა ქვეყნისა — მე თქვენი პოლიტიკა სულ არ მაინტერესებს, მე ვიბრძვი ხელისუფლების მიერ ჩემგან მიტაცებული სამოქალაქო უფლებების აღდგენა-დაბრუნებისთვის და ვიბრძოლებ ნებისმიერი ფორმით, რა მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს ფორმები თქვენთვის.

თქვენი კეთილის მსურველი
ქართლოს ზაქარეიშვილი.
85 წლის პენსიონერი.

დედაქალაქი

„თქვენი გამოსვლის პასუხად გაცნობებთ, რომ...“

პრესის თავისუფლების ვითომ შეზღუდვაზე მოკაკანე მავანთა საპასუხოდ, რომელთა მიზანი მხოლოდ საეჭვო ფასეულობის პოლიტიკური დივიდენდების მოხვეჭა წარმოადგენს, მათ ის დრო გვინდა შევახსენოთ, როცა არგუმენტირებულ საგაზეთო კრიტიკას სახელმწიფო უწყებათა პასუხისმგებელ პირთა, ხელისუფლების ყველაზე მაღალი რანგის მოხელეთა მხრიდან უმალ პასუხი და, აუცილებლობის შემთხვევაში, უმკაცრესი ქმედებებიც მოყვებოდა ხოლმე.

ახლა კი, კოლეგა ჟურნალისტებიც და ბევრი რიგითი მოქალაქეც დაგვეთანხმება, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში არც სახელმწიფო უწყებები, არც, მით უმეტეს, კერძო კომპანიები, კრიტიკულ გამოსვლებს არად დაგიდევენ, პასუხს საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე ოფიციალური მიმართვიდან კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაშიც არ იძლევიან. ზოგჯერ კი, სულაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები ზოგ სახელმწიფო წყებაშიც და კერძო ფორმაშიც... ინფორმაციის დასამალადაა შექმნილი.

მარტო აქედან ჩანს, ვინ ზღუდავს პრესის ქმედობითობას და ვინ, უბრალოდ, სპეკულირებს ამ თემით.

თუმცა, ცხადია, ისიც, რომ ეს საყვედური ერთიანად ყველას არ ეხება, არის სასიამოვნო გამონაკლისებიც, როცა საგაზეთო პუბლიკაციებზე პასუხს უკვე არა პრესსამსახურები, არამედ თავად პასუხისმგებელი მოხელეები იძლევიან.

გასული წლის მიწურულს ჩვენს გაზეთში და გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“ ამ უკანასკნელის მთავარი რედაქტორის **ვადიმ ანასტასიადის** რამდენიმე პუბლიკაცია დაიბეჭდა, რომელთაგან ერთი თბილისში დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას, მეორე კი სპორტულ ობიექტ **ი.ბ.ა „ოლიმპიურ ვარსკვლავთან“** დაკავშირებით მთელ რიგ პრობლემას უკავშირდებოდა. სამიიოდე დღის წინათ ორივე გაზეთის რედაქციაში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის პასუხი მივიღეთ, რომელსაც ხელს აწერს უფროსის პირველი მოადგილე **მამუკა ჯაყელი**. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

„...მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 06 აპრილს №13.02.295 განკარგულებით, შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს დაუმთავრებელი მშენებლობების კონკრეტულ შემთხვევებზე. კომისიას დავალებული აქვს, განაზოგადოს დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემატიკა და შეიმუშაოს მისი გადაჭრის საშეღავათო მექანიზმები.

რაც შეეხება საგაზეთო სტატიაში მოხსენიებულ ი.ბ.ა. „ოლიმპიურ ვარსკვლავს“, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ობიექტს გააჩნია მთელი რიგი პრობლემები, როგორც ფინანსური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. მიმდინარეობს მოლაპარაკება ინვესტორებთან, რის შემდეგაც მოხდება დაუმთავრებელი მშენებლობის განახლება“.

როგორც ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, მართალია, საგაზეთო პუბლიკაციებში წამოყენებულ საკითხებთან დაკავშირებით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის პასუხი არსებით დეტალებს არ შეიცავს, სამაგიეროდ, სავსებით კონკრეტულია, რაც ნამდვილად იმის იმედს გვისახავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ასეთი საქმიანი ურთიერთრობა გაზეთების რედაქციებსა და როგორც მერიის სამსახურების, ისე სხვა უწყებებისა და კერძო კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენელთა შორის, მომავალშიც კონსტრუქციულად წარიმართება.

ოთარ ტურაბელიძე

„ბედნიერი ერის“ შვილები ამაოდ ველოდებით გამოდარებას!

მონღოლებზე უარესი ბარბაროსები თუ შემოესეოდნენ ჩვენს ბედკრულ მიწას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა. მაგრამ უფალმა არ გვაკმარა უდაბნოს ნომადები და რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქართველთა დასასჯელად ქართველები მოგვისია. ჩვენმა მამულმა კიდევ ერთხელ განიცადა შავი დღეების სიმწარე.

ქართველთა მტრებმა საქართველოს ისტორიის საწყისად თავიანთი გაუკუღმართებული „მზის“ ამობრწყინება გამოაცხადეს. გადააგვარეს ქალაქი და სოფელი, ადამიანს დაუკარგეს ადამიანის სახე. გაათანაბრეს ჭკვიანი და უჭკუო, ლამაზი და ულამაზო, მცოდნე და უვიცი. ამორალურები მორალს უკითხავდნენ ღვთის მსახურებს. გააცამტვერეს სკოლა და ცოდნის ყველა კერა. უნივერსიტეტი წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს და ინკვიზიციის სამსჯავრო მოუწყვეს. ნათელი გახდა, რომ „პატრიოტულ“ ჰანგებზე ამეტყველებულმა ნაციონალებმა, ახალი სული შთაბერეს საუკუნეების წინათ დაძლეულ დამპყრობელთა ბოროტ ნამოქმედარს და არანაკლები დარტყმა მიაყენეს ქართულ სულიერებას.

ცოდვის შვილების უპირველესი სამიზნე გახდა განათლება და მეცნიერება. სააკაშვილ-ლომაიას საგანმანათლებლო-სამეცნიერო სიყალბემ ნაჯახით ამოძირკვა თაობათა ენერგიით აღმართული ეროვნული სიწმინდეები და გზა გაუხსნეს ჯოჯოხეთური ძალების თარეშს, რომელსაც დაარქვეს განვითარების ევროპული გზა. სიცრუე ნებივრობდა ათი წელი. ნეტარებდნენ მედროვენი და მრუდედ მოფიქრალნი. ჭეშმარიტი ქართველები გაინაპირეს, სიახლეთა მტრებად შერაცხეს, მოკვეთეს და დევნის ობიექტებად აქციეს.

2006 წელს საქართველომ განიცადა კრწანისის ბრძოლის დარი დამარცხება. განსხვავება ის იყო, რომ აღა მაჰმად ხანის ნაცვლად ჩვენი მტერი იყო ნაციონალური ჭირი. ჭირს პირველი აღუდგა წინ უნივერსიტეტი, რისთვისაც მტერმა სამაგალითოდ დასაჯა. მისი თავგანწირვა დღეს არავის ახსოვს. სამწუხაროა, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, გვაქვს მახსოვრობის პრობლემაც. ხოლო ისინი, რომლებიც მიეკედლნენ ნაცისტებს, არხეინად იმკიდნენ სხვათა ბრძოლის ნაყოფს. პროტესტანტები დარჩნენ კანონიერების მიღმა, გამოაცხადეს მეამბოხეებად, ხულიგნებად, გაასამართლეს, ჩარეცხეს, „შეამკეს“უამრავი დამამცირებელი ეპითეტით და ამ „ჯილდოთი“ დამშვენებული რჩებიან დღესაც. ახალმა ხელისუფლებამ, წინამორბედების მიერ მიღებულ უსამართლო კანონებს ღვთაებრივი ძალმოსილება მიანიჭა და უცვლელად დატოვა.

უმწიფარმა რეფორმატორებმა მოარღვიეს და გააცამტვერეს ის მწირი დონე, რომელიც გვქონდა შემორჩენილი და მის ნაცვლად ერს შემოაჩეჩეს ყურმოკრული გაუგებრობა. განათლების მინისტრი (ლომაია) და უნივერსიტეტის რექტორი (ხუბუა) ამაყობდნენ ეპოქალური გარღვევით, რომ ქვეყანა უახლოვდებოდა ევროპას. სინამდვილეში შეგვრჩა ცენტრალური აფრიკის მიმართულებით დაძრული საქართველო. ამ სიმახინჯეს ალმა მატერის ნაცისტებთან მიკედლებულ მეცნიერთა დიდი ჯგუფი ოვაციებით ხვდებოდა და ხვდება დღესაც. განათლებისა და მეცნიერების „პატრიოტი“ მსახურები შესანიშნავად მოერგნენ სიახლედ მონათლულ სიცრუეს. მათი პროტესტი გამოიხატება ვიწრო წრეში ჩივილით: იღუპება ქვეყანა. ბოლო ხანებში ერთადერთმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნოდარ ცინცაძემ აღიმაღლა ხმა ბოროტების მთესველთა წინააღმდეგ და გამოაქვეყნა არგუმენტირებული წერილი, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდეს მეცნიერული კვლევა ცრურეფორმატორებმა. წერილი სათაურით, „განათლებისა და მეცნიერების დანგრევა სამშობლოს ღალატის ტოლფასია“ (დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, 19 თებერვალი,2016 წელი). ბატონ ნ. ცინცაძის სამართლიან გულისტკივილს არავინ გამოხმაურებია. მოსალოდნელი იყო, რომ წერილში დასმულ კრიტიკულ შენიშვნებს მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ ისე გაატარეს, თითქოს არაფერი მომხდარა. საინტერესოა, ბევრს რომ ლაპარაკობენ, ნუთუ მოსწონთ დაჩიავებული უნივერსიტეტი?

ეშმაკის მსახურებმა თავიანთი ღვთაებრივი მოვლინება იმით უკვდავყვეს, რომ ასაკი გამოაცხადეს დანაშაულად და მიზნად დაისახეს ჭაღაროსანთა ჯვარცმა. მსგავსი ფორმით სიძულვილის გამოხატვის ფაქტს, შორეული წარსულიდან დღემდე, იშვიათად თუ დაასახელებს ვინმე (მათი სრული სიმცდარის უარყოფა ადვილად შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სანუკვარ ამერიკასა და ევროპაში, საითაც მივისწრაფით 70-80 წლის ადამიანები, აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ცხოვრებაში). ქართველთა ცრუ მესიამ და მისმა ბრმა თაყვანისმცემლებმა მსოფლიოში მიღებული ყველა წესი და რიგი დაარღვიეს, გააუფასურეს და უფსკრულში გადაუძახეს.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყალბისმქმნელი ნაციონალების დანერგილი კანონები თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული. ხელისუფლების წარმომადგენლები ოცნების მანტიამოსხმული ნაციონალების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ერთგულად აგრძელებენ იმ გზას, „რეფორმატორულად“ რომ ჰყავდათ წარმოდგენილი დანისლული გონების ადამიანებს. მტრის სამსახურში გალაღებული მსახვრალი ხელი უკულმა ატრიალებს ჩვენი ისტორიის ბედკრულ ჩარხს.

სამართლიანობის დაბრუნების კუთხით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და უნივერსიტეტი შეხმატკბილებულად აგრძელებენ ნაციონალების ანდერძს. მტრებად შერაცხილებს, იმავე უუფლებობაში ამყოფებენ დღესაც. ძლიერნი ამა ქვეყნისანნი შურისძიებას აგრძელებენ.

განათლების მინისტრისა და უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტები ქაჯეთის ციხედაა ქცეული. სანამდე გაგრძელდება ეს სიშორე და მიუწვდომლობა, გაურკვეველია. ციხესიმაგრეში შეღწევა, მის ბინადართა „გადატვირთულობის“ გამო შეუძლებელია. საკუთარი გამოცდილებისა და სხვათა მონათხრობის გათვალისწინებით, გადავწყვიტე ეპისტოლარული ჟანრის გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფიასკო განვიცადე. განათლების სამინისტროს დეპარტამენტის პასუხი ტყუპისცალივით ჰგავს იმავე დეპარტამენტიდან ოთხი წლის წინათ მიღებულ პასუხს (როგორც ჩანს, ეს პირი დასპეციალებულია მსგავსი შინაარსის წერილების თხზვაში).

რთულადაა საქმე უნივერსიტეტშიც. რექტორის სახელზე შეტანილი განცხადების საბოლოო ინსტანცია აღმოჩნდა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატი. მე საკითხის გასარკვევად მივმართე უნივერსიტეტის პირველ პირს და არა ფაკულტეტის დეკანს. შეკითხვაზე სერიოზული პასუხის ნაცვლად ამოვჩნდი ჩვეულებრივი ბიუროკრატიული ბარიერის წრეში, რომელიც პასუხზე თავის არიდებას ემსახურება. სხვათა შორის, განათლების მინისტრს და უნივერსიტეტის რექტორს მოვახსენებდი ვინ ვარ, რას ვაკეთებ და რა გეგმები მაქვს. მივუთითებდი, რომ ჩემი სახელმძღვანელოებით („ძველი საბერძნეთი“,“რომის ისტორია“) სარგებლობენ სტუდენტები საქართველოს ყველა უნივერსიტეტში. აქვე უნდა აღვნიშნო, ამ საგანს კითხულობენ სხადასხვა დონის სრული და ასოცირებული პროფესორები. მათგან განსხვავებით, ქართული განათლების სახელმძღვანელოების ავტორი (გ. ქავთარია) მუშაობს სააათობრივი ანაზღაურების წესით და ახალბედა, დამწყები ლექტორის დარად უფორმებენ ხელშეკრულებას (ხელშეკრულება ფორმდება წელიწადში ორჯერ 3-4 თვით. წელიწადში კი 12 თვეა). თანამდებობის პირები, რომლებსაც თავი მოაქვთ მენეჯერული უნარების მაღალი დონით, პირველ რიგში მსგავს შეუსაბამობათა მოგვარებაზე უნდა ფიქრობდნენ და არა ბოროტ დედინაცვლებზე, როგორადაც გვიქციეს უნივერსიტეტი.

ნაციონალების შურისძიება მოდერნიზებული სახით სრული სვლით გრძელდება. საუნივერსიტეტო ცხოვრების ევროპულ სტანდარტებზე გადასვლამ, კანცლერის ინსტიტუტმა, სენატმა, აკადემიურმა საბჭომ, უამრავი ადამიანის დასაქმების გარდა შეცვალა რამე? განსაკუთრებულ პროტესტს იწვევს აკადემიური საბჭოს საქმიანობა. ხუბუას საბჭომ რექტორად აირჩია ხუბუა. მომდევნო საბჭოებიც იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ. აკადემიურმა საბჭომ ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა როტაცია. პატივცემულ წევრებს ერთხელაც არ დაუსვამთ საკითხი სამართლიანობის აღდგენით, რომ უნივერსიტეტიდან ნაციონალების მიერ დათხოვნილ სამეცნიერო საბჭოს წევრებს, ყოფილ კათედრის გამგეებს, აღდგენოდათ სტატუსი (ემერიტუსის მინიჭების სახით), მაგრამ ყველას საკუთარი ვიწრო ინტერესები ამოძრავებს, სხვათა საქმეები არ აინტერესებთ (რა ენაღვლებათ, თავი ქუდში აქვთ). ამავე დროს ერიდებიან, შურისმაძიებლებმა ღალატი არ დასწამონ. საინტერესოა, რა ფუნქციების შესრულება ევალებათ? საბჭოს ზოგიერთი წევრი სიამაყით აცხადებდა, რომ ქართულ განათლებას და მეცნიერებას, ნაცისტების ბრძნული მოქმედების წყალობით, გაეხსნა ევროპისაკენ მიმავალი გზა. რაც ამ უაზრობამ ქართულ სულიერებას მოუტანა, ნაცისტებსა და მათ ბრმა მხარდამჭერებს საუკუნო სირცხვილად ეყოფათ. დღევანდელ საქართველოში სულიერების მსახური დაკნინებულია, საცოდავი მწირის მოსასხამით არის მოსილი, „ძლიერნი ამა ქვეყნისანნი“ მათთან ლაპარაკსაც კი არ კადრულობენ. ვის ხელშიც ძალა და უფლებაა, სიმართლე არ აინტერესებთ და ფანტასტიკური ილუზიებით ირთობენ თავს, რასაც განათლებისა და მეცნიერების ნეტარების ჟამის დადგომად ასაღებენ. მაღალფარდოვანი სიტყვების უმისამართო ფრქვევით ადამიანი დარჩა რეალური სამყაროს მიღმა და ღვთის ანაბარა დაფარფატებს გაურკვეველ სიცარიელეში.

რეალობის გამოსწორების ამაოებაში დამარწმუნა მინისტრ ალ. ჯეჯელავასა და უნივერსიტეტის რექტორის ალ. შარვაშიძის უგულისყურობამ. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მეცნიერებისა და განათლების საჭეთმპყრობელები არ ღალატობენ ნაციონალების პოლიტიკას. ბატონებო, ყოველგვარი მორიდების გარეშე მოგმართავთ. თქვენ სათავეში უდგახართ ქართულ განათლებას. კარგად ვიცნობ მსოფლიო განათლების ისტორიას უძველესი პერიოდიდან. მცოდნისა და მცირემცოდნის მსგავსი ვერგარჩევა შორეულ წარსულშიც არ ყოფილა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საკმაოზე მეტად მომრავლებულ უნივერსიტეტებში როგორი კვალიფიკაციის სპეციალისტები გადასცემენ თავიანთ ცოდნას? ამიტომ ეს საკითხი კარგად მესმის და სასხვათაშორისო მოპყრობა, რომელიც ცრურეფორმატორებმა დაამკვიდრეს, წინსვლის ნაცვლად უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ანტიკურ ისტორიაში არ ვარ შემთხვევითი პირი. 80 წლის ასაკში სახელმძღვანელოების გარდა, გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე მონოგრაფია და ასზე მეტი სტატია ანტიკური სამყაროსა და ძველი საქართველოს ცალკეულ საკითხებზე. რატომ ხდება, რომ ქარტეხილებში უამრავის ბამბა ჩხრიალებს? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უხსოვარი დროიდან მოყოლებული განათლების მსახური ყოველთვის დაფასებული იყო. დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა საქართველომ საუკუნეებგამოტარებულ ამ ჭეშმარიტებას დავიწყების საბურველი გადააფარა და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს არც ვარსებობთ და უკვირთ, რატომ ვართ ცოცხლები.

იხ. 9 გვ.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი თვის განმავლობაში არასრული მკურნალობის გამო, კლინიკაში არაერთხელ მოხვდა

ჯანდაცვის სამინისტრო ზოგიერთ საავადმყოფოში ფსიქიატრიული სერვისების დახურვასთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკას ეხმიანება. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო მიმართვას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ გასული წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის სამსახურის ანალიზმა აჩვენა, რომ 2016 წელს არსებული დაფინანსების სისტემა კლინიკებს რიგ შემთხვევებში აძლევდა მანიპულირების საშუალებას. გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როდესაც მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი თვის განმავლობაში არასრული მკურნალობის გამო კლინიკაში არაერთხელ მოხვდა. ეს კლინიკებს აძლევდა საშუალებას, არასრული მკურნალობით მოეპოვებინა ფინანსები. ახალი მეთოდოლოგია ასეთ რისკებს მინიმუმამდე ამცირებს და უზრუნველყოფს თანხების სამართლიან გადანაწილებას ქრონიკული მდგომარეობის მქონე პაციენტებზე.

ცალსახად ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში არსებული საწოლების რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ პაციენტებს მიეწოდოთ დროული და ხარისხიანი მომსახურება.

ცხადია, ეს ცვლილებები არ იქნება მისაღები იმ დაწესებულებებისთვის, რომლებმაც თავად უნდა გადაწყვიტონ, რა იქნება მათთვის პრიორიტეტი — პაციენტი თუ ფინანსური სარგებელი.

ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ცვლილებები პირველ რიგში მიმართულია პაციენტების ინტერესებისკენ“, — ნათქვამია მიმართვაში.

ქართველების მიერ ევროპაში ნაძარცვი ნივთები ჩინეთშიც კი იყიდება!

გერმანულ გამოცემა „Sachsische Zeitung“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია გერმანიის პოლიციის მიერ საქსონიისა და საქსონია-ანჰალტის მხარეში ჩატარებული ოპერაციის შესახებ, რომლის შედეგად სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის, დრეზდენსა და ლეიპციგში ქურდობაში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს (ავტორები — ტობიას ვოლფი და ქრისტოფ შპრინგერი).

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ამ **მასშტაბურ ოპერაციაში, რომელიც ცენტრალურ გერმანიაში ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, 600-მდე გერმანელი პოლიციელი მონაწილეობდა. ოპერაციის დროს ქურდთა ბანდის მრავალი წევრი დააკავეს, მათ შორის, სავარაუდოდ, ქართველებიც არიან. ისინი დრეზდენისა და ლეიპციგის სადგურებზე მდებარე მაღაზიებს ქურდავდნენ და მოპარულ საქონელს ვიეტნამელ გადამყიდველებს აძლევდნენ. ქართველ დაკავებულებს 30 გრამი ჰეროინიც აღმოუჩინეს.**

როგორც ცენტრალური გერმანიის ფედერალური პოლიციის გამომძიებელი მარკუს პფაუ ამბობს, ქართველი ეჭვმიტანილები ხშირად ოთხკაციან ჯგუფებად არიან გაერთიანებული, ძირითადად მამაკაცები, რომლებიც „რკინიგზის“ ვაგზლებზე მდებარე მაღაზიებში ქურდობენ. მათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ და იციან, სად, როდის რა უნდა გაქურდონ. არის ფაქტები, რომ მათი ნაძარცვი ჩინეთშიც იყიდება.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ **2016 წლის გაზაფხულზე გერმანიის პოლიციამ რვა ქართველი დააკავა, რომელთა სასამართლო პროცესი დრეზდენში მიმდინარეობს. პოლიციას მათ წინააღმდეგ მტკიცე სამხილები აქვს. ეჭვმიტანილთა კუთვნილი ოთხი ავტომანქანა და ამოღებული 10 ათასი ევრო კონფისკებულია.**

მარკუს ფრაუს თქმით, ქართველები ლტოლვილის სტატუსით არიან რეგისტრირებული და თავშესაფრის მიღება სურთ. **„თავშესაფრის უფლება პიროვნების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებსაც ნიშნავს, მაგრამ არა იმ დროს, როცა ამ უფლებას ლტოლვილი ბოროტად იყენებს და დანაშაულს სჩადის“,** — ამბობს პოლიციის წარმომადგენელი.

„SACHSISCHE ZEITUNG“
(გერმანია)

რატომ არის კარგი საქართველოში ინვესტიციების დაბანდება?

ლატვიურ გამოცემა „The Baltic cource“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია ლატვიის დედაქალაქში გამართული ეკონომიკურ-დიპლომატიური კლუბის სხდომის შესახებ, რომელიც რიგის ძველ უბანში მდებარე ქართული რესტორნის საკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობდა და რომელშიც საქართველოს ელჩი თეიმურაზ ჯანჯალიაც მონაწილეობდა (ავტორი — ოლღა პავუკი, „The Baltic cource“-ის მთ.რედაქტორი).

„ეკონომიკურ-დიპლომატიური კლუბის წევრებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ინფორმაცია, რომ საქართველოში სოციალური გადასახადს არ იხდიან — „ის, უბრალოდ, არ არსებობს“ — აღნიშნულია მასალაში.

სტატიაში ვრცლადაა გადმოცემული სტატისტიკური მონაცემები საქართველოს შესახებ: **მოსახლეობის რაოდენობა, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა (18 მლრდ.დოლარი), მისი ზრდის ტემპები 2016 წელს (2,7%), 2017 წლის პროგნოზი (4,55), მშპ-ის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე (2743 დოლარი), მშპ-ში მრეწველობის წილი (16,5%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (10%), მშენებლობის (8%).**

პუბლიკაციაში მოცემულია **აგრეთვე საქართველოს ბიუჯეტის მოცულობა (9,5 მლრდ.დოლარი), ინფლაცია (4%), უცხოური ინვესტიციები (1,35 მლრდ. დოლარი) და მათი განაწილება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში... საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა... უმუშევრობის დონე (12,4%). აღნიშნულია, რომ ასაკის მიხედვით უმუშევრები უფრო 20-დან 34 წლამდე ახალგაზრდები არიან (50%). საქართველოში საშუალო ხელფასის მოცულობამ 2015 წელს 400 დოლარს მიაღწია. ვრცლადაა გადმოცემული საქართველოს საგადასახადო სისტემის დადებითი მხარეები..**

სტატიაში ყურადღება აქვს დათმობილი ლატვია-საქართველოს ურთიერთობასაც: **მოცემულია ვაჭრობის სტატისტიკა (26,2 მილიონი დოლარი 2015 წელს. საქართველოს მთავარი საექსპორტო პროდუქტი ლატვიაში - ღვინო). მატულობს ლატვიელი ტურისტების რიცხვი საქართველოში (2016 წელს - 10 ათასი). ავტორი წერს, რომ საქართველო „აბრეშუმის დიდი გზის“ პროექტის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.**

რატომაა კარგი საქართველოში ინვესტიციების დაბანდება?

„ბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო 10 საუკეთესო რეფორმატორი ქვეყნების რიცხვში შედის, ხოლო ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში 23-ე ადგილი უკავია. ქართველმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ძალიან დაბალია ბიუროკრატიის დონე, იოლია ბიზნესის დაწყება (ნებართვა მზადაა 24 საათში, მხოლოდ 8 დოლარის გადახდით), სწრაფია საბაჟო პროცედურები (15 წუთში). ბაჟისაგან გათავისუფლებულია იმპორტული საქონლის 80%“, — ნათქვამია სტატიაში.

HE BALTIC COURCE (ლატვია)

საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ქართულ ფილმს აჩვენებენ

ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს 2 ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი. კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მთავარ კონკურსში მონაწილეობს დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „ლეთა“.

„ლეთას“ მსოფლიო პრემიერა 2016 წელს კანის კინოფესტივალის ფარგლებში ფრანგულ რივიერაზე წარმატებით გაიმართა. მას შემდეგ ფილმი არაერთ კინოფესტივალზე დაჯილდოვდა.

ტრიესტეს კინოფესტივალზე პროგრამაში Born In Trieste აჩვენებენ ალექსანდრე კვატაშიძის დოკუმენტურ ფილმს „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ მონაწილეობას იღებდა ფესტივალის კოპროდუქციის ფორუმზე When East Meets West.

მოგვიანებით, სექციაში Last Stop Trieste, სადაც მონტაჟის ეტაპზე მყოფი ფილმებია წარმოდგენილი, ალექსანდრე კვატაშიძის ნამუშევარი HBO Europe Award -ის მფლობელი გახდა. აქედან გამომდინარე მოხდა ფილმის „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი„ პროგრამაში Born 6n Trieste წარდგენა, რადგან ფილმის საერთაშორისო ისტორია სწორედ ტრიესტეში დაიწყო. ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი იტალიაში 1989 წლიდან იმართება და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალად ითვლება. ფესტივალი 29 იანვარს დასრულდება.

„წითელი ვაშლები“ კლერმონ ფერანის საერთაშორისო ფესტივალზე

ქართველი რეჟისორის გიორგი სიხარულიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „წითელი ვაშლები„ კლერმონ ფერანის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას. ფილმი ფესტივალის საერთაშორისო კონკურსშია წარდგენილი.

ფილმის „წითელი ვაშლები“ მსოფლიო პრემიერა წარმატებით შედგა ტორონტოს A კლასის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც იგი მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში იღებდა მონაწილეობას.

კლერმონ ფერანის კინოფესტივალი მოკლემეტრაჟიანი ფილმების წამყვანი ფესტივალია, რომელსაც ყოველწლიურად 100 000 მაყურებელი ესწრება. ფესტივალი 3-11 თებერვალს ჩატარდება.

„სხვისი სახლი“ ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების ნომინანტია

ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოებამ პრესტიჟული ჯილდოს Outstanding Achievement Awards ნომინანტები დააანონსა.

ნომინანტებს შორის მოხვდნენ ისეთი ცნობილი და წარმატებული ფილმები, როგორებიცაა: Arrival, Lion, La La Land, Moonlight და Silence.

ერთ-ერთ ჯილდოზე Spotlight Award 4 ნომინანტს შორის წარდგენილია ცნობილი ესპანელი ოპერატორი Gorka Gomez Andreu ფილმისთვის „სხვისი სახლი“.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელ კინოოპერატორთა ნომინანტი ქართველი რეჟისორის ნამუშევარი გახდა. რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელსაც უკვე აქვს მოპოვებული არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის, მთავარი პრიზები კარლოვი ვარის, ბერგენისა და ევრაზიის საერთაშორისო ფესტივალებზე. „სხვისი სახლი“ — საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთისა და ხორვატიის კოპროდუქციაა. ფილმი 1990-იანი წლების საქართველოს რეალობას ეხება.

დაჯილდოების ცერემონიალი 4 თებერვალს 31-ედ გაიმართება.

ქართული „სტუმარი“ საკონკურსო პროგრამაში მოხვდა

ნინო შაბურიშვილის ფილმი „სტუმარი„ Festival International du Film d'Aubagne-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას.

ფილმი 10 წლის ბიჭის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ზაფხულის არდადეგების დადგომას სხვა ბავშვების მსგავსად არ ელოდება. მისთვის ზაფხული ზღვის სანაპიროზე ყოველდღიური მუშაობაა. Festival 6nternational du Film d'Aubagne საფრანგეთში 20-25 მარტს ჩატარდება.

ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს

სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“ აცხადებს კონკურსს კვებით მომსახურებაზე, კერძოდ, საკასო ცენტრში არსებული სასადილოს ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე

ობიექტი: საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში არსებული სასადილო.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №72.

მომსახურების ვადა: 1 (ერთი) წელი ხელშეკრულების დადებიდან (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

ობიექტის ფართი: 170,18 მ² (სასადილო დარბაზი 135.25 მ²; სამზარეულო 24.11 მ²; საკუჭნაო (სამარაგო + სამრეცხაო) 10.82 მ²)

მომსახურების მიზანი: ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ობიექტის აღჭურვილობა: აღნიშნული ობიექტი აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით (ელექტრო ქურებით, მაცივრით, ჭურჭლის სარეცხი მანქანით, მაგიდა-სკამებით, სამზარეულოსა და სუფრის ჭურჭლით და ა.შ.) რაც უზრუნველყოფს ობიექტის ფუნქციონირებას.

თანამშრომელთა რაოდენობა: 55-60 პერსონა.

1. საკონკურსო ვადები:

1. 1. საკონკურსო განაცხადის (საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების) მიღება იწარმოებს 2017 წლის 7 თებერვალს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, ქ. თბილისი, სანაპიროს 2 სსიპ „საქართველოს ეროვნულ ბანკში“, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

1. 2. საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2017 წლის 7 თებერვალს 15:15 საათი;

1. 3. კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2017 წლის 17 თებერვლისა;

1. 4. ხელშეკრულება გაფორმდება: კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

შენიშვნები:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უაპელაციოდ 10 დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაკეთებიდან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კომუნალური გადასახადების გადახდას.

2. საკონკურსო პირობები:

2. 1. საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს საკვალიფიკაციო მონაცემებსა და საკონკურსო წინადადებებს;

2. 1. 1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2. 1. 1. 1. იურიდიული პირებისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, არარეზიდენტი პირებისათვის – შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან);

2. 1. 1. 2. ფიზიკური პირებისათვის (ინდივიდუალური მეწარმე): ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

2. 1. 1. 3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის: ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების განხორციელების შესახებ.

შენიშვნა: *ანალოგიურად ჩაითვლება მხოლოდ ის მომსახურება, რომელსაც კონკურსანტი უწევს ორგანიზაცია/დაწესებულებებს, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 50-ს.*

2. 1. 2. საკონკურსო წინადადებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უნდა შეიცავდეს:

2. 1. 2. 1. პროდუქციის ჩამონათვალს და ფასებს (მენიუ), იხილეთ დანართი №1;

2. 1. 2. 2. კონკურსანტის სრულ რეკვიზიტებს (დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს).

2. 2. კონკურსში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ასევე შესაძლებელია წარმოადგინოს დამატებითი მენიუ.

3. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით:

ა) დანართი №1-ში მოცემული მენიუს ჯამური ფასი – **0.6;**

ბ) გამოცდილება – **0.4.**

შენიშვნა: *შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენენ საკონკურსო წინადადების იმ მაჩვენებელს, რომელთა შეფასების საფუძველზეც ხორციელდება კონკურსანტების წინადადებების ურთიერთშედარება და გამარჯვებულის გამოვლენა. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება 10 (ათი) ბალიანი სისტემით.*

4. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს:

4. 1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ობიექტის ამუშავება;

4. 2. ობიექტის მუშაობა სამუშაო დღეებში 12:00 საათიდან 15:00 საათამდე. სებ-ის წინასწარი მოთხოვნით კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს ობიექტის მუშაობა არასამუშაო დღეებშიც;

4. 3. ობიექტის და ინვენტარის მოვლა დასუფთავება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით;

4. 4. სუფრის სანელებლებით (მარილი, პილპილი, მდოგვი და შაქარი) მომარაგება;

4. 5. ქაღალდის ხელსახოცებით მომარაგება;

4. 6. მომსახურების სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ინვენტარით აღჭურვა და საჭიროებიდან გამომდინარე შევსება;

4. 7. საკონკურსო განაცხადში მითითებული ფასების უცვლელობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

4. 8. მაღალხარისხიანი პროდუქტებით, ნახევარფაბრიკატებით და მზა პროდუქციით შეუფერხებელი მომარაგება;

4. 9. ყოველდღიურად ახალი ცივი და ცხელი კერძების მომზადება;

4. 10. მზა პროდუქციის და ნახევარფაბრიკატების ვარგისიანობის ვადის მკაცრი დაცვა;

4. 11. პროდუქციაზე ხარისხის დაცვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

4. 12. საზოგადოებრივი კვების სფეროში მომსახურების აღიარებული ხარისხის უმაღლესი სტანდარტების დაცვა;

5. ანაზღაურება:

5. 1. საქართველოს ეროვნული ბანკი ავტორიზებულ მომხმარებელს ყოველდღიურად სარგებლის სახით დაურიცხავს 3.20 (სამი ლარი და 20 თეთრი) ლარს;

5. 2. ავტორიზებული მომხმარებლის მიერ ფაქტობრივად მოხმარებული პროდუქციის ღირებულების გადახდა განხორციელდება შემდეგნაირად:

5. 2. 1. თუ ავტორიზებული მომხმარებლის მიერ დღეში მოხმარებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 3.20 (სამი ლარი და 20 თეთრი) ლარი ან ნაკლები, ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით სებ-ის მიერ შემსრულებლის ანგარიშზე გადარიცხვის გზით („სარგებელი“);

5. 2. 2. თუ ავტორიზებული მომხმარებლის მიერ დღეში მოხმარებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 3.20 (სამი ლარი და 20 თეთრი) ლარზე მეტი, მაშინ 3.20 (სამი ლარი და 20 თეთრი) ლარს, ანუ „სარგებელს“ გადაიხდის სებ-ი უნაღდო ანგარიშსწორებით, ხოლო ნამატ თანხას იხდის ავტორიზებული მომხმარებელი ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით;

5. 2. 3. ჯამური „სარგებლის“ თანხის დაანგარიშება და ურთიერთშედარება მოხდება ყოველი თვის დასრულებისას. ურთიერთშედარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსრულებელი გამოწერს ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი;

5. 2. 4. სებ-ის მიერ „სარგებლის“ ანაზღაურება მოხდება არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან.

5. 3. არაავტორიზებული მომხმარებლები შეძენილი პროდუქციის სრულ ღირებულებას იხდიან ნაღდი ანგარიშსწორებით ადგილზე;

5. 4. მომხმარებელთა ავტორიზაციის მექანიზმი დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას.

6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: nchukhrukidze@nbg.gov.ge

მენიუ

დასახელება	გაწზომილების ერთეული	რაოდენობა	ღირებულება
ცივი საუზმე			
ყველი სულგუნი	გრამი	100	
ყველი იმერული	გრამი	100	
წადუღი პიტნით	გრამი	100	
ქათმის სალათი	გრამი	100	
კრაბის სალათი	გრამი	100	
სოკოს სალათი	გრამი	100	
ზერძნული სალათი	გრამი	100	
ოლივიეს სალათი	გრამი	100	
ჭარხლის სალათი მაიონეზით	გრამი	100	
ყვავილოვანი კომბოსტოს სალათი	გრამი	100	
ცეზარი	გრამი	100	
ისპანახი ნიგვზით	გრამი	100	
ბადრიჯანი ნიგვზით	გრამი	100	
ბადრიჯანი მაიონეზით	გრამი	100	
აჯაბსანდალი	გრამი	100	
ტკბილი ფლავი	გრამი	100	
სოკოს მუჟუჟი ნიგვზით	გრამი	100	
ფრანგული სალათი სოკოთი	გრამი	100	
ბრინჯის სალათი (ხორცით და კვერცხით)	გრამი	100	
სალათი ლატვიური	გრამი	100	
ჭარხალი ნიგვზით	გრამი	100	
სალათი პოლონური	გრამი	100	
ხაჭო	გრამი	130	
არაჟანი	გრამი	100	
მირითადი კერძები			
აფხაზური	გრამი	100	
კატლეტი საქონლის	გრამი	100	
კატლეტი ქათმის სულგუნით	გრამი	100	
კატლეტი კიევური	გრამი	100	
კატლეტი სამარხვო	გრამი	100	
ქაბაბი	გრამი	100	
მაკარონი ყველით	გრამი	100	
მაკარონი ხორცით	გრამი	100	
მოხარშული ვერმიშელი	გრამი	100	
ლობიო ზეთით	გრამი	100	
მწვანე ლობიო	გრამი	100	
ქათმის შნიცელი	გრამი	100	
პიურე	გრამი	100	
წიწიბურა	გრამი	100	
კარტოფილი ფრი	გრამი	100	
შემწვარი კარტოფილი	გრამი	100	
კარტოფილი მექსიკურად	გრამი	100	
ოჯახური (ღორის ხორცით)	გრამი	100	
ოჯახური (სოკოთი)	გრამი	100	
თევზი კალმახი	გრამი	100	
შემწვარი სკუმბრია	გრამი	100	
სარდელი	გრამი	100	
სოსისი	გრამი	100	
ქათმის ღვიძლი ჩაშუშული	გრამი	100	
ხარჩო საქონლის ხორცით	გრამი	100	
ბორში	გრამი	100	
სოკოს სუპი	გრამი	100	
მაწვნის სუპი	გრამი	100	
გუფთა	გრამი	100	
ბლინი ხორცით	გრამი	100	
ბლინი ყველით	გრამი	100	
მოხარშული კვერცხი	ცალი	1	
შემწვარი კვერცხი	ცალი	1	
საქონლის სოუზი	გრამი	100	
ცხელი სალათი (ქათ.ხორცით და ყველით)	გრამი	100	
ქათმის ფლავი	გრამი	100	
ვაზის ტოლმა	გრამი	100	
ჩვეულებრივი ტოლმა	გრამი	100	
ქათმის სუპი მდნარი ყველით	გრამი	100	
ბორში უკრაინული	გრამი	100	
სოკოს შილა	გრამი	100	
ხორცის ჩაქაფული	გრამი	100	
სამარხვო ჩაქაფული	გრამი	100	
ოსტრი	გრამი	100	
ცომეული			
მჭადი	გრამი	100	
ჭვიშტარი	გრამი	100	
ხაჭაპური	გრამი	100	
ლობიანი	გრამი	100	
პური	გრამი	100	
ღვეზელი კარტოფილის	გრამი	100	
სოკოს ღვეზელი	გრამი	100	
ტკბილეული			
შუ	გრამი	100	
ეკლერი	გრამი	100	
კექსი	გრამი	100	
სამარხვო კრუასანი	გრამი	100	
კრემიანი ნამცხვარი	გრამი	100	
კრემიანი ფუნთუშა	გრამი	100	
სასმელები			
ბორჯომი 0.5	ცალი	1	
ბორჯომის წყარო 0.5	ცალი	1	
ლიკანი 0.6	ცალი	1	
ნაბეღლავი 0.5	ცალი	1	
პეპსი 0.5	ცალი	1	
კოკა-კოლა 0.5	ცალი	1	
ლიმონათი «ნატახტარი» 0.5	ცალი	1	
წყალი «ბახმარო»	ცალი	1	
წყალი «ბაკურიანი»	ცალი	1	
ცივი ჩაი	ცალი	1	
ჩაი	ლიტრი	0.25	
ჩაი ლიმნით	ლიტრი	0.25	
ყავა ხსნადი	ლიტრი	0.25	
ნატურალური კომპოტი	ლიტრი	0.25	
ჯამი:			

„ბედნიერი ერის“ შვილები ამაოდ ელოდებით გამოდარებას!

(მეექვსე გვერდიდან) დარწმუნებული ვარ, არ გაგიხარდებათ, მაგრამ ამქვეყნიდან წასვლას არ ვაპირებთ. ამასთანავე, ერთ სიბრძნეს შეგახსენებთ, ძველ საბერძნეთში თანამდებობაზე ასარჩევ პირთა ღირსებების ჩამონათვალში, საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი იმას, თუ როგორ ექცეოდა იგი უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ქართველმა რეფორმატორებმა ყველაფერი ძველი დრომოჭმულად გამოაცხადეს და დავიწყების უფსკრულში გადაუძახეს. იყო დრო, როდესაც „ზებუნებრივი“ უნარებით დაჯილდოებულ ვარსკვლავ ჭაბუკებს ყველაფერი უკუღმა ესმოდათ. ვერ აცნობიერებდნენ იმას, რომ სიბერე არის ისეთი ვერაგობა, რომელსაც ვერავინ გაექცევა (ნაციონალები გამონაკლისები იყვნენ, რომლებსაც თავიანთი წყალწყალა ჭკუით ეგონათ, რომ მარადიულ ჭაბუკებად დარჩებოდნენ. ბატონებო, მოგახსენებთ, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად, წერაც შემიძლია, კითხვაც, წაკითხულის გაგებაც, კრიტიკაც და კომენტირებაც. ფარიც მაქვს და მახვილიც, უფრო მკაცრი ტონითაც შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ ეს მომავლისათვის გადავდოთ. ჩემს გულისტკივილს იწვევს ის რეალობა, რომ ხელისუფლების ცვლილება ნაციონალების მიერ შერისხულთა ბედზე ზემოქმედებას არ ახდენს, ყოველივე ძველი სვლით მიედინება. ის, რაც ნაციონალების მღვრიე ტალღებმა წალეკეს, დღესაც დავიწყების მორევისაკენ მიემართება. ჩემი თაობის ღირსებაშელახულებს ერთი მორიდებული შეკითხვა გვაქვს ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე: როდის დადგება დრო უზნეო ნაცისტების ბრალდებების შემსუბუქების? რატომ აღმოჩნდა ბოროტების თესლი სიცოცხლისუნარიანი? შეუთავსებლობას იწვევს ის რეალობა, თუ რატომ მიაჩნიათ ხელოვნურ სათბურებში აღზევებულ ჩინოსნებს, ხანგრძლივი პედაგოგიური და მეცნიერული დამსახურების პირები დაბალი კატეგორიის ადამიანებად! სააკაშვილ-ლომაიას მსგავსად, ხომ არ ეშლებათ რამე?

2006 წლის მარტში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე წერილი „Hannibal ante portas, რომელშიც თანამემამულეებს ვაუწყებდი მტრის მოახლოებას. მეგობართა მხოლოდ მცირე ნაწილმა დამიჭირა მხარი, რადგან ჩემი ვარაუდი გაზვიადებულად მიიჩნიეს. მოხდა ის, რაზეც ვაფრთხილებდი: მტერმა კარიბჭეც გადმოლახა, ტაძარიც აიღო და სიწმინდეებიც შებილწა. უთანასწორო შერკინება ნაცისტების გამარჯვებით დამთავრდა. დაიწყო დამარცხებულთა დევნა, შეურაცხყოფა, დამცირება, ღირსების შელახვა. სარკინოზულმა დაუნდობლობამ დაისადგურა ჩვენს მიწაზე. გამარჯვებულებმა ზარზეიმით აღნიშნეს საკუთარ ხალხზე გამარჯვება და ყველაფრისმცოდნეობის ამბიციებით ცდილობდნენ ადამიანების დაჩლუნგებას (რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ). საქართველომ კიდევ ერთხელ იხილა, რომ პატრიოტულ ტალღაზე ამხედრებული შინაური მტერი არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე გარეშე და გადამთიელი. ნაცნობმა მტერმა დანერგა უცნობი სიძულვილი და ადამიანის გაუფასურების არნახული სიმახინჯე. უიმედობა რჩება გადაულახავ სიმაღლედ. მწვერვალი უპყრიათ ნაცისტ შურისმაძიებლებს, რომლებიც აგრძელებენ ნაანდერძევ „რეფორმატორობას“. მრავალ უბედურებათა შორის ქართული განათლებისა და მეცნიერების სათავეში მრავლად

მეოთხედი საუკუნეა საქართველოში მედროვეთა განუკითხავი თარეში ბატონობს. სანუკვარ კვარცხლბეკზე ამაღლებულები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ არიან გამორჩეული ჭკუისანი, ყველაფრის მცოდნენი და ასრულებენ ღვთისგან დაკისრებულ მისიას. შედეგი? ფიანდაზით მოფენილ კიბეებზე ადიან და ჩამოდიან ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებულები. ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა – ქალამნად. ამ პერსონებს ერი ბრმისა და ყრუს სახით ჰყავთ წარმოდგენილი. „ბედნიერი ერის“ შვილები ამაოდ ელოდებიან გამოდარებას. ძლიერები ძველებურად მძლავრობენ, სუსტები კედელს ეფარებიან და ელოდებიან ბედკრული წუთისოფლის დასასრულს. დემაგოგები „ბრძნული სიტყვების“ კორიანტელით, ამაყად მოძღვრავენ ბრბოდ ქცეულ ერს ნეტარი დღეების მოახლოების სატყუარათი. ნაცრის მფრქვეველთა რიცხვი არ შემცირებულა.

არიან ბიუროკრატიული უნარ-ჩვევებით უხვად დაჯილდოებული პერსონები, რომლებიც წარბშეუხრელად მიჰყვებიან წინამორბედთა დაკანონებულ ნორმებს, შესანიშნავად ახერხებენ საზოგადოებისაგან დისტანცირებას, თავს არ უყადრებენ რიგით მოკვდავებს. ამ ბატონებს რატომ ჰგონიათ, რომ საუფლისწულო მამულის შეუვალი გამგებლები არიან! ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობა რატომ მიაჩნიათ თავიანთი მაღალი ღირსებების შელახვად? მე ვსვამ მარტივ კითხვას: კანონებს, რომლებიც მათ უფლებამოსილებას შეეხება, როგორც მოესურვებათ ისე ცვლიან, ხოლო შერისხულთა მიმართ ნაციონალების გადაწყვეტილებას უცვლელად ტოვებენ. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ყალბისმქმნელების ნამოქმედარში ცვლილების შეტანა შურისძიებას ფუნქციას დაუკარგავდა.

მეოთხედი საუკუნეა საქართველოში მედროვეთა განუკითხავი თარეში ბატონობს. სანუკვარ კვარცხლბეკზე ამაღლებულები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ არიან გამორჩეული ჭკუისანი, ყველაფრის მცოდნენი და ასრულებენ ღვთისგან დაკისრებულ მისიას. შედეგი? ფიანდაზით მოფენილ კიბეებზე ადიან და ჩამოდიან ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებულები. ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა – ქალამნად. ამ პერსონებს ერი ბრმისა და ყრუს სახით ჰყავთ წარმოდგენილი. „ბედნიერი ერის“ შვილები ამაოდ ელოდებიან გამოდარებას. ძლიერები ძველებურად მძლავრობენ, სუსტები კედელს ეფარებიან და ელოდებიან ბედკრული წუთისოფლის დასასრულს. დემაგოგები „ბრძნული სიტყვების“ კორიანტელით, ამაყად მოძღვრავენ ბრბოდ ქცეულ ერს ნეტარი დღეების მოახლოების სატყუარათი. ნაცრის მფრქვეველთა რიცხვი არ შემცირებულა.

დიდხანს ვფიქრობდი, ეს წერილი გამომექვეყნებინა თუ არა, რადგან ვისაც ეხება, იგი წამკითხავი და ჩემი ნაფიქრის გამზიარებელი არ არის. ვწერ მომავალი თაობისათვის, რათა იცოდნენ, რაოდენ მძიმე პირობებში უხდებოდათ ყოველდღიურობის გატარება „რევოლუციური ძვრების“ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც მითიური სიზიფეს მსგავსად ამაოდ ებრძოდნენ ღვთის რისხვად მოვლენილებს.

გრანი ქავთარია,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

P. S. განათლების მესაჭეებს შევახსენებ, როგორ ესმით ევროპელებს სამართლიანობა. გერმანიაში, მეორედ მოსვლის დროს, უნივერსიტეტების პროფესორთა გარკვეულმა ნაწილმა უარი თქვა ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობაზე. ზოგი სხვა ქვეყნებში გადავიდა. ვინც დარჩა, ასაკის მიუხედავად, პენსიაზე გაუშვეს (იქაური პენსია საგრძნობლად აღემატებოდა ქართულ მოწყალებას). ფაშიზმის განადგურების შემდეგ, ნანგრევებად ქცეულ გერმანიაში, იძულებით უფლებაშეკვეცილი პირები თავიანთ ადგილებზე აღადგინეს.

საქართველოში ნაციონალები პოზიციას არ თმობენ!.. როდემდე?

გ. ქ.

საქმე №1/102-2017

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 13 იანვარი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ნოდარ ომანაძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 7 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნოდარ ომანაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 7 ნოემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნოდარ ომანაძეს შორის დაიდო №111392355 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნოდარ ომანაძეს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი საქმის მასალებით წარმოდგენილ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნოდარ ომანაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნოდარ ომანაძე რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნოდარ ომანაძეს (პირადი №01003015515) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ნოდარ ომანაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნოდარ ომანაძეს ეცნობოს, რომ 2017 წლის 13 თებერვალს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ნოდარ ომანაძის მიმართ.

5. ნინო კოკაიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

©ხალიჩის რაინდები

სპარსეთში მხოლოდ „კლასიკოსებმა“ იყოჩაღეს

ირანის ქალაქ მეშხედში დამთავრდა ოლიმპიურ ჩემპიონ გოლამ რეზა ტახტის სახელობის გუნდური საერთაშორისო ტურნირი „ტახტის თასი“, რომელშიც სხვა ქვეყნების უძლიერეს ფალავნებთან ერთად ქართველებმაც მოსინჯეს ძალები ორივე სახეობაში, თუმცა, ჩვენებმა ირანს გადახალისებული შემადგენლობებით მიაშურეს.

ტურნირი წლეულს გუნდური ფორმატით ჩატარდა. ასპარეზობის პირველ დღეს ქართველთა ორივე გუნდმა ორ-ორი შეხვედრა მოიგო, „კლასიკოსებმა“ ირანის ხორასნის პროვინციისა (5:3) და ერაყის (7:1) ნაკრებები დაამარცხეს, ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ბელარუსი (7:1) და ირანის „ჯავანინი“ (6:2) დაჯაბნეს, თუმცა, ნახევარფინალი ირანის გუნდთან 2:6 დათმეს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლასაც ჩამოშორდნენ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა კი თურქების ძლიერ ნაკრებს 6:2 მოუგეს და გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელთა მთავარ გუნდთან 1:7 დამარცხდნენ. ის ერთადერთი ქულა ჩვენებს მათე სოფაძემ (98) მოუტანა. მის გარდა, გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ რამაზ სურმანიძე (59), თორნიკე ჯანგავაძე (66), ანტონ მამაგეიშვილი (71), ილია გულბათაშვილი, გოგა აფრიამაშვილი (ორივე - 75), თორნიკე ძამაშვილი (80), გიორგი ცირეკიძე (85), ლევან ყურფარაშვილი (98), ლევან არაბული და ვასილ იმერლიშვილი (ორივე - 130), მწვრთნელები - ოთარ ტატიშვილი და ზაზა ჯიბლაძე.

გიორგი გაგუა

თითო-თითო „ოქრო-ვერცხლით“

თითძმის მეოთხედი საუკუნეა, ქართველ ფალავნებს სახელოვანი რუსი მოჭიდავის — ივან პოდდუბნის სახელობის დიდ პრიზზე არ უასპარეზიათ, წლეულს კი ტურნირზე დაბრუნება ორი მედლით აღნიშნეს - მოსკოვში ამ პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონი გახდა ზურაბ დათუნაშვილი (80კგ), ვერცხლის მედალი კი რობერტ კობლიაშვილს (85) ერგო. კვარცხლბეკთან ახლოს იყო საჩინო დავითაია (71), მაგრამ მესამე ადგილისთვის პაექრობა რუს ევგენი ვისოტინთან 1:5 წააგო და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. შეჯიბრებაში 11 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ მედლებისთვის.

ევროპის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა ოლიმპიადის შემდეგ 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადაინაცვლა, სადაც მომავალ თამაშებამდე იჭიდავებს, თუმცა, ტოკიოსთვის ისევ 75-ში დაბრუნდება, რადგან 80 კილო ჯერჯერობით არაოლიმპიური წონაა. დათუნაშვილი საკვალიფიკაციო ეტაპზე თავისუფალი იყო, მერვედფინალიდან კი რუსეთელებს დაერია: მართალია, პირველი ორთაბრძოლა ხუსეინ ზანგურადოვთან ფრედ დასრულდა - 2:2, მაგრამ ბოლო ქულის წყალობით მეოთხედფინალის საგზური ჩვენებურს ერგო. იქ ბესლან ასაკალოვს 2:1 აჯობა ხოლო ნახევარფინალში მსოფლიოს მესამე პრიზიორ იმილ შარაფეტდინოვს 2:1 მოუგო. გადამწყვეტ პაექრობაში დათუნაშვილი ადლან აკიევს დაუზავდა — 3:3. ქართველის ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი ბოლო ორი ქულა აღმოჩნდა.

შეჯიბრებაში რობერტ კობლიაშვილიც მერვედფინალიდან ჩაერთო და ფინალამდე სამ მასპინძელს მოუგო - ევროპის ვიცე-ჩემპიონ ბოგდან ჩურკინს (3:0), მსოფლიოს პირველობის ფინალისტ ევგენი სალეევსა (2:1) და არტურ სურიკოვს (1:1), ბოლო შეხვედრაში კი საქართველოს ნაკრების წევრს რუსთა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ჩაკვეტაძემ მოუგო (3:1).

ლექსო ცინცაძე

სეზონი ხარკოვში გახსნეს

სხვადასხვა სინჯის 12 მედალი — ასეთი ალაფით დაბრუნდნენ შინ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა ქართველი ფალავნები ხარკოვიდან, სადაც უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის - ლეონიდ დუნაის ტრადიციული მემორიალი გაიმართა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, სომხეთის, გერმანიის, მოლდოვისა და რუსეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ჩვენებურთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ჭოლაძე (42), თორნიკე ქათამაძე (58), გიორგი ელბაქიძე (63) და ელგუჯა ბალანჩივაძე (100), თითო ორთაბრძოლა დათმეს და მეორე ადგილები გიორგი გეგელაშვილმა (46), ბაჩუკი ქვლივიძემ (50), ბაგრატ გაგნიძემ (69) და აკაკი გოქსაძემ (76) დაიკავეს, ხოლო ბრინჯაოს მედლები ლუკა ქარჩხაძემ (50), ვლადიმერ გამყრელიძემ (54), ლუკა მარიამიძემ (63) და გივი გოგობერიშვილმა (85) დაიმსახურეს.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

ზაზამ ჭერი 14-მდე ასწია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ჩინებული შეხვედრა ჩაატარა ზაზა ფაჩულიამ - „გოლდენ სტეიტმა“ გასვლაზე „ორლანდო მეჯიქს“ 118:98 აჯობა და აღნიშნულ გამარჯვებაში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა საკმაო წვლილი შეიტანა.

ზაზა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და სტივ კერიმ თამაშის შესაძლებლობა 20 წუთი მისცა. აღნიშნულ დროში ფაჩულია ეფექტურად გაისარჯა: 14 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა. „უორიორზის“ ცენტრმა რვიდან 7 ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმო ხაზზე კი ორჯერ დადგა, თუმცა, კალათში ბურთი ვერცერთხელ მოათავსა. რაც შეეხება მოხსნებს, 5-დან ორჯერ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი სტეფ კარი იყო 27 ქულით, კლეი ტომპსონმა გუნდს 21, ხოლო კევინ დიურანტმა 15 ქულა შესძინა.

„გოლდენ სტეიტი“ დასავლეთ კონფერენციას დამაჯერებლად ლიდერობს — 44 ჩატარებული მატჩიდან 38 აქვს მოგებული. მომდევნო მატჩს „მეომრები“ დღეს სტუმრად „მაიამი ჰიტთან“ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ლევან მჭედლიძე - ისევ გამარჯვების გოლი!

იტალიის სერია A-ს XXI ტურში გატანილი გოლით გამოიჩინა თავი ლევან მჭედლიძემ. ქართველმა ფორვარდმა„ „ემპოლისა“ და „უდინეზეს“ მატჩის 82-ე წუთზე მოხდენილი თავური დარტყმით იხეირა. ლევანის გოლი ერთადერთი გამოდგა შეხვედრაში და ტოსკანელებმა მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩვენებურის დიდი ძალისხმევით მოიპოვეს.

თამაშის მიწურულს ვესელის ფლანგურ გადაცემას მჭედლიძე გამოეხმაურა საჯარიმოში, მცველებს აჯობა და მეკარე კარნეზისს აუღებელი დაურტყა. ლევანმა მინდორზე 90 წუთი გაატარა.

ეს ლევან მჭედლიძის მეოთხე გოლია მიმდინარე სეზონში. მანამდე მან „კალიარისთან“ დუბლი შეასრულა, ხოლო ბერგამოში „ატალანტასაც“ გაუტანა. აღსანიშნავია, რომ მჭედლიძე „ემპოლის“ საუკეთესო ბომბარდირია ამ სეზონში 4 გატანილი გოლით.

რაც შეეხება „ემპოლის“, 21 ტურის შემდგომ ჯოვანი მარტუშიელოს გუნდი 21 ქულით მე-17 ადგილზეა, თუმცა, გასავარდნ ზონას მთელი 11 ქულითაა მოცილებული.

გიორგი შოთაძე

◎ წყალბურთი

თბილისიც მასპინძელია

2000-2001 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი წლეულს 10-17 სექტემბერს მალტაშია დანიშნული.. იქ თამაშის უფლება მასპინძლებთან ერთად განაღდებული აქვთ ხორვატეთს, საბერძნეთს, სერბეთს, უნგრეთს, რუსეთს, იტალიასა და ესპანეთს. დანარჩენი რვა საგზურისთვის ოთხ შესარჩევ ჯგუფში 21 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს.

A ჯგუფი (ავსტრია): მონტენეგრო, თურქეთი, ჰოლანდია, მოლდოვა, ავსტრია;

B ჯგუფი (სლოვენია): გერმანია, სლოვენია, პოლონეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, სლოვაკეთი;

C ჯგუფი (რუმინეთი): რუმინეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი ლიტვა;

D ჯგუფი (საქართველო): საფრანგეთი, საქართველო, შვეიცარია, ჩეხეთი კვიპროსი.;

თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო ფინალის საგზურს მოიპოვებს, საკვალიფიკაციო პაექრობები კი 11-14 მაისს გაიმართება. ასე რომ, თბილისი D ჯგუფის მასპინძელია.

თამაზ პატარიძე

◎ ინტერნეტიდან

ფლორენცია სალვიონის მჩხიბავობანი

იტალიელი მოდელი ფლორენცია სალვიონი, რომელიც თავს საფეხბურთო კლუბ „რომას“ ჭეშმარიტ და უპირველეს ქომაგად რაცხს, აცხადებს, რომ მას წინასწარმეტყველური ნიჭი აქვს და დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ რუსეთში გასამართ 2018 წლის მუნდიალზე ჩემპიონი იტალიის ნაკრები გახდება.

ფლორენცია სალვიონის თქმით, მას არასოდეს ღალატობს წინასწარ ჭვრეტის უნარი და აქამდე არაერთი საფეხბურთო ტურნირისა თუ კონკრეტული მატჩის შედეგი გამოუცვნია. იტალიელ მოდელს თავისი სიტყვების დასტურად ამ სამი წლის წინანდელი მისი ინტერვიუ მოჰყავს, სადაც სალვიონის ქალი ამბობს, რომ ევროპის ჩემპიონი პორტუგალიის ნაკრები გახდება.

ასრულდება თუ არა ფლორენცია სალვიონის წინასწარმეტყველება იტალიის ნაკრების ჩემპიონობასთან დაკავშირებით — ამას ცხადია დრო და მუნდიალი გვაჩვენებს, მაგრამ ზოგადად იტალიელებს ამგვარი სიზმრებისა და გამოცხადებების ძალიან სჯერათ და თუკი „სკუადრა აძურამ“ რუსეთში მართლა იპირველა, ჩათვალეთ, რომ ეს შხვართი მოდელი აპენინების უპირველესი მჩხიბავი გახდება.

◎ კრიმინალი

გაწყვეტილი უსიტყვო სიმღერა

ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ხელოვნების აუარება ნიმუშს, მათ შორის, მხატვრულ ტილოებს, ქანდაკებებს, ისტორიულ შენობათა ექსტერიერის ელემენტებს და სამუსიკო ინსტრუმენტებს იპარავენ. ცოტა ხნის წინათ, საქვეყნოდ ცნობილმა მუსიკოსმა, რუსეთის ეროვნული ფილარმონიული ორკესტრების ხელმძღვანელმა, მევიოლინე ვლადიმერ სპივაკოვმა ინტერვიუში ყველაზე მძიმე დანაკლისებზე ისაუბრა, რომლებიც ბოლო დროს მუსიკოსებმა განიცადეს..

ამის საბაბი კი ის გახდა, რომ ამას წინათ შვეიცარიაში, მატარებელში, მევიოლინე პავლე ვერნიკოვს იტალიელი ხელოსნის გვადანინის მიერ 1747 წელს გაკეთებული ვიოლინო მოპარეს, რომლის ღირებულება 1,5 მილიონ დოლარს აღემატება. მაგრამ, მაესტრო სპივაკოვის თქმით, დანაკარგის გაზომვა არანაირი ფულით არ შეიძლება.

— მსგავსი რამეები, მართალია, ყოველდღე არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად ხდება და ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ, ინსტრუმენტი შეიძლება სამუდამოდ დაკარგოს. ზოგჯერ ათწლეულები გადის, ვიდრე მისი მოძებნა მოხერხდებოდეს, ანდა რაიმე ბედნიერი შემთხვევის წყალობით მიაგნონ, — ამბობს ბატონი სპივაკოვი. — ცოტა ხნის წინათ ასეთი რამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა: სტრადივარის ნამუშევარ ვიოლინოზე დიდი ხნის მანძილზე ვიღაც მუსიკოსი... რესტორანში უკრავდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა ინსტრუმენტი შემფასებელთან მიიტანა. ვიოლინოს წარმომავლობაც მაშინ გაირკვა და სტრადივარის ვიოლინო პატრონს დაუბრუნდა.

პავლე ვერნიკოვმა ვიოლინოს დაკარგვა ძალიან მძიმედ განიცადა: — ეს იგივეა, თითქოს ჩემთვის ბავშვი მოეტაცათ. ამ ინსტრუმენტის გარეშე ჩემი მუსიკოსობა წარმოუდგენელია, — მითხრა მან.

— ძალიან კარგად მესმის მისი, — განაგრძობს მაესტრო სპივაკოვი. — არამუსიკოსებს უბრალოდ ვერ წარმოუდგენიათ მუსიკოსსა და მის ინსტრუმენტს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. ხშირად ხდება, რომ საკუთარი იდუმალი ფიქრებისა და გრძნობების განდობა შემსრულებელს მხოლოდ ინსტრუმენტისთვის შეუძლია. ეს, ერთგვარად, უსიტყვო სიმღერაა. მაგალითად, ჩემი ვიოლინო (თუმცა კი პირადად მე ის არ მეკუთვნის, და, როგორც პავლე ვერნიკოვის ინსტრუმენტი, მილანის „პრო კანალეს“ ფონდის საკუთრებას წარმოადგენს), როცა მასზე დიდი ხანი არ ვუკრავ, იტანჯება: აიშლება ხოლმე, წრიპინსა და სისინს იწყებს...

საშინელი შეგრძნებები კაცს ძილშიც არ გასვენებს: ხან გეზმანება, თითქოს უნებლიეთ ზედ დააჯექი, ტაქსიში ან რესტორანში დაგრჩა, ანდაც გზაში მოგპარეს... მერე ცივ ოფლში გახვითქულს გეღვიძება და ძილი გათენებამდე აღარ გეკარება ...

ფაქტობრივად, გამოდის, რომ ინსტრუმენტი იმ ხალხის ხსოვნას ინახავს, ვინც მასზე უკრავდა... ერთხელ ამერიკაში ერთმა ძალიან მდიდარმა კაცმა, ბატონმა ფულტონმა მიმიწვია, რომელიც ორი ათეული უნიკალური იტალიური ვიოლინოს პატრონია. ვახშმის შემდეგ მან თავისი კოლექციის დათვალიერება შემომთავაზა, მე ხან ერთ ინსტრუმენტზე დავუკარი, ხან მეორეზე. ერთ-ერთი მათგანი ძალიან მომეწონა. ძალიან! მისტერ ფულტონმა მკითხა: „მოგწონთ? მზად ვარ, ის რამდენიმე წლით მოგცეთ“, რაზეც მე ვუპასუხე: „მე მას ვერ ავიღებ, რადგან ის ისააკ სტერნის ხმით ჟღერს“. **(ისააკ სტერნი ცნობილი ამერიკელი მევიოლინეა — რედ.)** მისტერ ფულტონი აფორიაქდა: „ეს ამბავი თქვენ საიდან იცით?“ თურმე მასსა და სტერნს შორის გარკვეული შეთანხმება ყოფილა: იმხანად მუსიკოსი ცოლს ეყრებოდა და იძულებული იყო, გაეყიდა ძვირფასი ვიოლინო, რათა თავისი ახალგაზრდა სატრფოსთვის ბინა ეყიდა, ამიტომაც კოლექციონერს სასტიკად აუკრძალა იმის გამხელა თუ ვისგან შეიძინა ეს ინსტრუმენტი. მე კიდევ მისი ჟღერადობით ყველაფერს მივხვდი, ვინაიდან ვიოლინომ თავისი ყოფილი მფლობელის — დიდი მევიოლინის ხმა შეინარჩუნა...

ასეთი ძვირფასი ინსტრუმენტები უნიკალურებია, ისინი დაზღვეულია და საგანგებო აღრიცხვაზეა როგორც სპეციალისტებში, ასევე საერთაშორისო პოლიციაში. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება მას უყონ, ესაა ხანგრძლივი დროით დამალონ, რაც ასევე ძალიან ცუდია. ვთქვათ, მხატვრული ტილო შეიძლება ათწლეულების მანძილზე ფართო საზოგადოებისთვის დამალული იყოს. ვიოლინოზე კი აუცილებლად დაკვრაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაიღუპება — მასში ჭიები იბუდებენ, რომლებსაც ძალიან უყვართ ძველი იტალიური ხის ღრღნა. ამიტომაცაა, რომ ასეთი ნივთების ქურდობა — გარკვეულწილად აზრს მოკლებული ქმედებებია.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

P. S. დასასრულს მკითხველს რამდენიმე ცნობას მივაწვდით აუქციონებზე გაყიდული ყველაზე ძვირად ღირებული ინსტრუმენტების შესახებ. მაგალითად, სტადივარის 1721 წელს დამზადებული ვიოლინო „ლედი ბლანტი “ 15,894 მილიონ დოლარად გაიყიდა; 3,6 მილიონი დოლარი გადაიხადეს მის მიერვე 1697 წელს გაკეთებულ ვიოლინო „მოლიტორში“, ხოლო 3,544 მილიონი დოლარი — 1707 წელს გაკეთებულ ვიოლინო „ჰამერში “. 2008 წელს 3,220 მილიონ დოლარად გაიყიდა ფორტეპიანო „დიდი კრისტალი“, ხოლო 1679 წელს გაკეთებულ ჯოზეფ იოჰან კოშეს კლავესინში 390,5 ათასი დოლარი გადაიხადეს.

რაც შეეხება მსოფლიოში მოპარულ ყველაზე ძვირად ღირებულ ინსტრუმენტებს, ამ მხრივ სამწუხარო ლიდერები არიან 1727 წელს სტრადივარის ნახელავი ვიოლინო, რომელიც მუსიკოს ერიკა მორინის მოპარეს და რომელიც დღემდე არაა ნაპოვნი. მისი ფასია 3,5 მილიონი დოლარი. ამდენივე ღირს 1684 წელს სტრადივარის მიერ გაკეთებული ვიოლონჩელი „გენერალი კიდი“. ის ლოს-ანჟელესის ფილარმონიული ორკესტრის მუსიკოსის სახლიდან მოიპარეს, მაგრამ, საბედნიეროდ, რამდენიმე კვირაში... ნაგვის კონტეინერში იპოვეს. 1721 წელს სტრადივარის მიერ გაკეთებული ვიოლინო გერმანელი

დირიჟორისა და ვიოლონჩელისტის როდერიკ ფონ ბენინგსენის მამულიდან მოიპარეს. 3 მილიონ ევროდ შეფასებული ეს ინსტრუმენტი ერთი წლის შემდეგ იპოვეს. მევიოლინე მინ ჩიმ კიმს 1,8 მილიონ დოლარად შეფასებული სტრადივარის ვიოლინო მოპარეს, რომელიც ოსტატმა 1696 წელს შექმნა. სამი წლის შემდეგ ინსტრუმენტი ინგლისში, ერთ-ერთ კერძო სახლში იპოვეს. 1671 წელს სტრადივარის მიერ გაკეთებული, მილიონ დოლარად შეფასებული ვიოლინო კი, რომელსაც მევიოლინე დავით ოისტრახი ფლობდა, გლინკას სახელობის მუსიკალური კულტურის მუზეუმიდან გაიტაცეს, თუმცა კი ექვსი თვის შემდეგ... აფხაზეთის ერთ-ერთ სასაზღვრო სოფელში მიაგნეს.

სანთელი

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული ქართველი მეცნიერის, თვალსაჩინო სოციოლოგის, პროფესორ

გიორგი (გია) წულაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს ამავე აკადემიის წევრს, პროფესორ კონსტანტინე რამიშვილს მეუღლის

ნინო (ნანა) რამიშვილის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 22, 23 I, 15 სთ., დაკრძალვა 24 I, 14 სთ.

მისამართი: დიდი დიღომი III მ-რ, VI კვ. VI სად. VI სართ.

ურეკში მამაკაცს მატარებელი დაეჯახა

ურეკში ქუთაისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავი მატარებელი მამაკაცს დაეჯახა. შემთხვევა ურეკი-სუფსის სარკინიგზო მონაკვეთზე მოხდა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ის ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდადან იყო.

გამოძიება რკინიგზის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევის მუხლით მიმდინარეობს, რასაც ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა.

თბილისში ყოველ მეორე მცხოვრებზე ერთი მანქანა მოდის

2016 წლის მონაცემებით საქართველოში აქტიური სტატუსით რეგისტრირებულია 1 136 961 ავტომობილი. აქ შედის როგორც მსუბუქი, ასევე სამგზავრო სატვირთო და სპეციალიზებული მანქანები. გარდა „აქტიურისა“, საკმაოდ ბევრია მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ქალაქის ქუჩებში თუ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიოტორიებზე წლების განმავლობაში უპატრონოდ არის მიგდებული. ეს ყველაფერი მსხვილ ქალაქებში გადაუჭრელ სატრანსპორტო პრობლემებს იწვევს.

2016 წელს 2015 წელთან შედარებით, საქართველოში ავტომობილების რაოდენობამ 8%-ით მოიმატა. 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1 053 181 იყო. რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისში 2016 წელს, რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობამ 419 193 შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 7%-ით აღემატება. 2015 წელს დედაქალაქში 389 756 ავტომობილი აღირიცხებოდა. 2016 წელს ქვეყანაში შემოვიდა, 83 780 მანქანა, აქედან დაახლოებით 40000-მდე მარჯვენასაჭიანი იყო.

რამდენად შეამცირებს მთავრობის ახალი რეგულაციები მანქანების იმპორტს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ამასობაში

კი განსაკუთრებით დედაქალქში ვითარება დღითი დღე რთულდება. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის პრეზიდენტმა დავით მესხიშვილი იმ მძიმე მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც თბილისში ტრანსპორტის კუთხით არსებობს. მისი თქმით, გზების გადაჭედვა გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ქვეყანაში სატრანსპორტო განვითარების პოლიტიკა არ არსებობს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლა თბილისის მერიას მოუწევს არა მიზეზებთან, არამედ შედეგებთან ბრძოლა.

მივდივართ საგზაო მოძრაობის კოლაფსისკენ. სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო ავტომობილები დანიშნულების ადგილზე მისვლას, პრაქტიკულად, ვეღარ ახერხებენ. დღეს ჩვენ თუ ვამბობთ, რომ არის საცობები, მომავალში საერთოდ გადააგილება ვეღარ მოხერხდება.

„თუ ქვეყანაში შენარჩუნდა იგივე ზრდის ტემპი, როგორც ახლაა და უფრო მეტი ადამიანი ეცდება, შეიძინოს მანქანა, რასაკვირველია, მოიმატებს ავტომობილების იმპორტიც.

ბოლო წლებში ქვეყანაში დარეგისტრირებული მანქანების რაოდენობა ყოველწლიურად 70-80 ათასით იზრდებოდა, ანუ ძალიან დიდი მატებაა. არის ასეთი კვლევაც, სადაც ჩანს, რომ მანქანის შეძენის მსურველთა რიცხვი ყოველ წელს 8%-ით იზრდება“, - განაცხადა დავით მესხიშვილმა.

თბილისის მერია ამ ეტაპზე მხოლოდ ეკოლოგიური კუთხით აქტიურობს და ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას სთავაზობს. როგორც მერიაში აცხადებენ, სურვილის შემთხვევაში, ელექტროძრავიანი ავტომობილების მესაკუთრეებმა განცხადებით ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს უნდა მიმართონ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ქსეროასლები წარადგინონ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამსახური მონაცემებს „სითი პარკს“ გადასცემს. ამის შემდეგ ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურის გადახდა აღარ მოუწევთ.

როგორც მერიაში აცხადებენ, ელექტრომობილების პარკირების საფასურის გადახდისგან გათავისუფლება ეკოლოგიურად სუფთა ავტოტრანსპორტის იმპორტის წასახალისებლად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. თბილისის საკრებულოს დადგენილებით მიღებული პარკირების ახალი წესი პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში.

გეჟა დანელია

ჩინელების რაოდენობა რეკორდულად იზრდება!

2016 წელს ჩინეთში 17 მილიონზე მეტი ბავშვი დაიბადა. ამის შესახებ ჯანდაცვისა და გეგმიური შობადობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელმა იან ვენჩჟუანმა განაცხადა. მისივე თქმით, 2000 წლის შემდეგ ეს შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2015 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ „ერთი ოჯახი-ერთი ბავშვის“ სისტემა შეცვალა და ოჯახებს 2 ბავშვის ყოლის უფლება დართო, რის შემდეგაც შობადობის წლიური მაშვენებელი 1,4 მილიონით გაიზარდა.

გამბიის ექსპრეზიდენტმა ხაზინა გაძარცვა

გამბიის პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ სახელმწიფო ხაზინიდან 11 მილიონი დოლარი გაუჩინარდა. ამის შესახებ გამბიის ახალმა პრეზიდენტმა ადამ ბეროუმ განაცხადა. მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც იაჰია ჯამემ ქვეყანა დატოვა, გამბიის ფინანსთა სამინისტროსა და ცენტრალური ბანკის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ხაზინა თითქმის დაცარიელებულია. გამბიის ყოფილი პრეზიდენტი არჩევნების შედეგებს არ აღიარებდა და გადადგომაზე უარს აცხადებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც რეგიონალური ორგანიზაციები მას სამხედრო ინტერვენციით დაემუქრნენ, პოსტი დატოვა და ქვეყნიდან გაიქცა.

მიწისძვრა საქართველოში



კიდევ ერთი გამაფრთხილებელი - 3.2 მაგნიტუდის მიწისქვეშა ბიძგები კვირა ღამით იმერეთში, კერძოდ ბაღდათიდან დაახლოებით 8 კილომეტრში, 23:3 საათზე დაფიქსირდა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია.

ფრენები ბათუმის მიმართულებით აპრილში განახლდება

15 აპრილიდან უკრაინული ავიაკომპანია YanAir-ი ბათუმის მიმართულებით ფრენებს განაახლებს.

უკრაინული მედია ავიაკომპანიის კომერციულ დირექტორზე დაყრდნობით წერს, რომ კიევი-ბათუმის რეისები კვირაში 2-ჯერ განხორციელდება. ხოლო ივნისიდან, ანუ როცა აჭარაში ტურისტული სეზონი გახსნილად გამოცხადდება, YanAir-ი რეისებს ყოველდღიურად შეასრულებს. ავიაკომპანიამ ბილეთების გაყიდვები უკვე დაიწყო და ბილეთის მინიმალური ღირებულება (ორი გზა) 215 დოლარი იქნება. რეისები კიევიდან საერთაშორისო აეროპორტ „კიევიდან“ განხორციელდება.

ბათუმის მიმართულებით YanAir-ი რეისების განხორციელებას დაიწყებს ასევე ოდესიდანაც. აღნიშნულ მიმართულებაზე კომპანია ფრენებს 3 ივნისიდან განაახლებს და კვირაში 2 რეისს შეასრულებს. ოდესა-ბათუმის მიმართულებაზე ბილეთის ღირებულება (ორი გზა) 170 დოლარიდან იქნება.

2016 წელს YanAir-ი კიევიდან და ოდესიდან ბათუმის მიმართულებით 37 ათას მგზავრს მოემსახურა.

ბავშვის „ჯიბის ფული“

ბევრ მშობელს აინტერესებს – რა ასაკიდან შეიძლება ბავშვისთვის „ჯიბის ფულის“ მიცემა?

ამასთან დაკავშირებით, ფსიქოლოგებს ზუსტი პასუხი არა აქვთ, თუმცა კი იმასაც ამბობენ, რომ ამ დროს შეიძლება ორი კრიტერიუმით ხელმძღვანელობა. პირველი: შეუძლია თუ არა ბავშვს გარკვევით კითხვაზე პასუხის გაცემა. რაში სჭირდება პირადი სახსრები და რის შეძენა უნდა იმ ფულით? თან ისიც მნიშვნელოვანია, იწონებთ მის არჩევანს თუ არა – ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, ესმის თუ არა ბავშვს იმ საგნის დანიშნულება, რომლის შეძენა სურს. მეორე მომენტი ისაა, რომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, აქვს თუ არა ბავშვს მაღაზიაში შენაძენის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი – კერძოდ, ფული როგორ უნდა გადაიხადოს, ხურდა როგორ დაითვალოს და ა.შ.

თუკი ორივე შეკითხვაზე ბავშვის პასუხია „დიახ“, მაშინ ფულის მიცემა შეიძლება. ეს დრო, ჩვეულებრივ სკოლაში სწავლის დაწყებას, ანდა ერთი-ორი წლის შემდეგ დგება ხოლმე.

დაიძინე, გენაცვალე...

ცნობისმოყვარე მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ ადამიანის ხასიათის დადგენა, თურმე... მისი სუნთქვის მიხედვითაა შესაძლებელი.

საკუთარ ძალებში ნაკლებად დარწმუნებული ადამიანების გამოცნობა, თურმე, მოგუდული და ფშვიტინა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით შეიძლება; ხშირი და მკვეთრი სუნთქვა ადვილად აღგზნებადი პირებისთვისაა დამახასიათებელი; მძლავრი თანაბარი სუნთქვა ახალგაზრდა, საკუთარ ძალებში დარწმუნებულთა განსხვავებული ნიშანია, ხოლო დუნე სუნთქვით გულგრილ ხალხს გამოარჩევთ.

ვის რა ადარდებს

ბევრს იქნებ სულაც არ გაუკვირდეს იმის გაგება, რომ მამაკაცები, თურმე, ქალებზე გაცილებით მეტს... ჭორაობენ!

ხუთი ათასი კაცის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ „ტყუილად ენის ფხანაზე“ მამაკაცები დღეში 76 წუთს ხარჯავენ, ხოლო ქალები „მხოლოდ“ 52 წუთს. მამაკაცების ჭორაობის მთავარი თემებია მეგობრები, ახალი ამბები და სპორტი, ქალებისა კი – თანამოსამსახურეები, სამსახურის ამბები, ინტიმური ურთიერთობები, ხელფასი და უფროსი.

სახიფათო სვირინგები



რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დროებითი სვირინგი, თურმე, შეიძლება ჩვეულებრივ „მუდმივზე“ არანაკლებ სახიფათო იყოს.

შავი ქინაქინა, რომელიც ასეთი სვირინგების გაკეთებისას გამოიყენება, დამწვრობასა და პიგმენტაციის შეცვლას იწვევს, აგრეთვე მზის სხივებისადმი კანის მგრძნობიარობას ზრდის. განსაკუთრებით სახიფათო კი სხეულზე ასეთი სვირინგების დატანა ბავშვებისა და მოზარდებისთვის ყოფილა, რადგან ნაზ, ჯერ კიდევ გაუხეშებულ კანზე შავმა ქინაქინამ შეიძლება იარებიც დატოვოს.

ჰიპერსექსუალობის სიკეთე

გერმანელმა მკვლევარებმა მეტად გასაკვირი კავშირი დაადგინეს ადამიანთა აქტიურ სქესობრივ ცხოვრებასა და... ხელფასს შორის.

აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტია ადამიანის ინტიმური კონტაქტების რიცხვი, მით უფრო მაღალია მისი ხელფასი.

სექსუალური აქტივობა – ჩინებულია ჯანმრთელობითვის, ის კარგი გენეტიკისა და ჰორმონალური სტატუსის ნიშანია, – აცხადებენ ადამიანის რეპროდუქციული ცენტრის მკვლევარები. – ამიტომაცაა, რომ, სქესობრივად აქტიური პირები, როგორც წესი, ცხოვრებაში სხვებზე უფრო წარმატებულნი არიან და მეტსაც აღწევენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა ყველაზე სანდო გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6763; ევრო - 2.8457;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2894;
100 რუბლი - 4.4722; თურქული ლირა - 0.6997;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4340;
1000 სომხური დრამი - 5.5068.

ამინდი 24 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -8	დღე +6
მთიანი რაიონები -	ღამე -15	დღე +3
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -12	დღე +5
თბილისი:	ღამე -2	დღე +5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE